გაზეთი ზვიადის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№40 (935) 23 - 24 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ირაკლი ოქრუაშვილმა სიცრუისთვის პასუხი უნდა აგოს!“

ცესკო-მ ირაკლი ოქრუაშვილი არჩევნებიდან მოხსნა, ჰყავს თუ არა რეალური მხარდამჭერები გორში ნაციონალური მოძრაობის ყოფილ ლიდერს

ქათამი თუ კვერცხი, ანუ პოლიტიკური აღდგომა



სააღდგომო ეპისტოლე

გიორგი აბდალაძის ფოტო

ხათუნა ლაგაზიძე

„15 ივნისს ამომრჩევლის ძალიან დაბალი დასწრება დაფიქსირდება, რაც ხელისუფლებას ლეგიტიმაციის პრობლემას შეუქმნის!“ გვ. 3

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორების მივლინების ხარჯი იზრდება

გააძვირებს თუ არა მთავრობის ახალი დადგენილება იმპორტირებულ პროდუქციას? გვ. 5

რატომ აღევს ჯარისკაცების მოწამვლის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ გვ. 8



„რომპეტროლმა“ თბილისში ექვსი ახალი ბენზინგასამართი სადგური გახსნა

გვ. 8

რომპეტროლი

ჩვენ ბიჭები ვართ ანუ ორი ბილეთი უკანა რიგში

რა ხდება ფილმში, რომლის პრემიერაც 17 მაისს შედგება

გიორგი მარგველაშვილმა პოლიციის დღე გააუქმა

საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ბრძანებულება 1 მაისიდან ამოქმედდება, რომლითაც 6 მაისი, როგორც პოლიციელის დღე, გაუქმდება.

„ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პოლიციელის დღის დაწესების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 აპრილის №263 ბრძანებულება“, — აღნიშნულია პრეზიდენტ მარგველაშვილის ბრძანებულებაში.

რაც შეეხება ძალადაკარგულად გამოსაცხადებელ ბრძანებულებას, რომელიც თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა, მასში აღნიშნულია: **„საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანების მიუხედავად, პოლიციისა და სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელთა დღე აღინიშნებოდა სხვადასხვა დროს. ამ ორი უწყების თანამშრომელთა საერთო პროფესიული დღესასწაულის აღნიშვნის მიზნით: დაწესდეს პოლიციელის დღე. პოლიციელის დღე აღინიშნოს ყოველი წლის 6 მაისს“.**

„რეპორტიორი“

„ოცნება“ მერობის კანდიდატებს 26 აპრილს დაასახელებს

22 აპრილს მთავრობის ადმინისტრაციაში ირაკლი ღარიბაშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრებს შეხვდა. საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, კახა კალაძის განცხადებით, საუბარი საარჩევნო მდგომარეობას შეეხებოდა.

„26 აპრილს წარმოდგენილი იქნებიან მერობის კანდიდატები, ასევე დასრულებულია შეთანხმება რეგიონებში საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატებთან დაკავშირებით. მიმდინარეობს მსჯელობა გამგებლების კანდიდატების საკითხზე, რაც მოგვიანებით გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი“.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დავით ბერძენიშვილის განცხადებით კი 1053 ასარჩევი მაჟორიტარის შეჯერების პროცესი მთელი თვის განმავლობაში ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, ხოლო მათი საბოლოო შერჩევა მათი კონკურენტურანობის მიხედვით მოხდება.

„მერობის კანდიდატი თბილისში ცნობილია და მას საარჩევნო კამპანია დაწყებული აქვს. პრემიერთან დღევანდელ შეხვედრაზე საკრებულოს თავმჯდომარეობის საკითხი არ განიხილება, რაც შეეხება კვოტებს, დეკლალირებულია, რომ სიების თვალსაზრისით, საკრებულოში 50% ექნება „ქართული ოცნება — დემოკრატიულ საქართელოს", დარჩენილ 50% კი, კოალიციის სხვა პარტიები გადაინაწილებენ“, — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

დეპუტატ თინა ხიდაშელის ინფორმაციით კი, პრემიერთან შეხვედრის მთავარი მიზანი, შემდეგი კვირის საპარლამენტო მუშაობა იყო: **„მომავალი კვირა პრაქტიკულად, ბოლო კვირაა საპარლამენტო მუშაობის. არჩევნების გამო ერთთვიანი შესვენება გვექნება, ამიტომ ძალიან ბევრი ინიციატივაა მთავრობაში, რომელიც დაჩქარებული წესით უნდა გავიაროთ. ამაზე ვსაუბრობდით, რა არის მოსწრებადი და რა არა“.**

„ვერსიანიუსი“

„ირაკლი ოქრუაშვილმა სიცრუისთვის პასუხი უნდა აგოს!“

ჰყავს თუ არა რეალური მხარდამჭერები გორში ნაციონალური მოძრაობის ყოფილ ლიდერს

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

ცესკო-მ ირაკლი ოქრუაშვილი არჩევნებიდან მოხსნა. ამის საფუძველი ის გახდა, რომ სახალხო პარტიამ და მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის“, ცესკო-ში გორის მერობის კანდიდატად საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის რეგისტრაცია გაასაჩივრა. მათი განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში 2012 წლის ნოემბრის ბოლოს დაბრუნდა, შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. კერძოდ, კანონში ნათქვამია, რომ კანდიდატი არჩევნებამდე საქართველოში მუდმივად მინიმუმ ორი წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს. შეძლებს თუ არა ირაკლი ოქრუაშვილი საარჩევნო მარათონში ჩართვას და რა მეთოდებით დაუპირისპირდება თავდაცვის ყოფილი მინისტრის პოლიტიკაში დაბრუნებას, „ვერსიას“ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი სერგო ჯავახიძე ესაუბრა.

— როცა კანდიდატი საარჩევნო განაცხადს ავსებს, ორ კონკრეტულ კითხვას პასუხობს: 1. გიცხოვრიათ თუ არა საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მაინც? 2. ბოლო ორი წელი მაინც ცხოვრობდით თუ არა საქართველოში მუდმივად? ირაკლი ოქრუაშვილმა ორივე შეკითხვაზე დადებითი პასუხი გასცა, არადა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ იგი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩამოვიდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან კი, ორი წელი ჯერ არ გასულა. ამ შემთხვევაში ცესკო-მ აბსოლუტურად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო.

— ცესკო-სა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის პოლიტიკურ გარიგებაზე მიანიშნებთ?

— მსგავსი ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რა პრინციპით დაარეგისტრირა გორის საოლქო თავმჯდომარე მალხაზ ლილუაშვილმა ირაკლი ოქრუაშვილი კანდიდატად, მაგრამ ფაქტია, კანონი უხეშად დაირღვა! არა მგონია, ამ შემთხვევაში საოლქო კომისიის თავმჯდომარის, მალხაზ ლილუაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილმა სიცრუისთვის პასუხი უნდა აგოს! პირადად მე, როგორც მოქალაქე და პოლიტიკური ძალის თავმჯდომარე, ირაკლი ოქრუაშვილის მსგავსი ადამიანების პოლიტიკაში დაბრუნებას ყოველთვის შევეწინააღმდეგები. სწორედ ასეთი პოლიტიკოსების საზოგადოებისადმი დამოკიდებულება პირადად მეც შემეხო. მოგეხსენებათ, პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვედი. რამდენიმე წლის წინ, ოქრუაშვილის წარმომადგენლებმა ბიზნესწილების გადაფორმება მომთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 25-წლიანი პატიმრობით დამემუქრნენ, ამიტომ არ მესმის, რატომ უნდა შევეგუო ასეთი ადამიანის პოლიტიკურ ამბიციებს, მით უმეტეს, როცა ტყუის და კანონს არღვევს. ცესკო-ს გადაწყვეტილებით გაოცებული ვარ!

— თუმცა თქვენი საჩივრის განსახილველად ცესკო-ში სხდომა დაინიშნა...

— ჩვენ რომ ხმა არ ამოგვეღო, შესაძლოა, ცესკო-ს ირაკლი ოქრუაშვილის კანონდარღვევასთან დაკავშირებით არც ემსჯელა და გორის საოლქო თავმჯდომარის გადაწყვეტილება ძალაში დაეტოვებინა. თუ სიმართლეს ამ გზით ვერ მივაღწევთ, ბრძოლას გავაგრძელებთ და სასამართლოში ვიჩივლებთ!

სახალხო პარტიისა და მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის მიერ მომზადებული საჩივრის მიუხედავად, ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის წევრები სოციალურ ქსელში თავდაცვის ყოფილი მინისტრის უპირობო გამარჯვებით იმუქრებიან. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რეალურად, ჰყავს თუ არა ირაკლი ოქრუაშვილს გორში მხარდამჭერები ან რატომ დაარეგისტრირა ცესკო-მ კანდიდატი კანონდარღვევით. გორის მაჟორიტარი დეპუტატის, **სოსო ვახტანგიშვილის** განცხადებით, თავდაცვის ექსმინისტრი გორის მერობის კანდიდატად დარეგისტრირების შემთხვევაშიც კი, დამარცხებისთვის განწირულია: **„ირაკლი ოქრუაშვილი გორის არჩევნებში გამარჯვების მოპოვებას ვერასოდეს შეძლებს. ადგილობრივი მოსახლეობისგან მას საკმარისი მხარდაჭერა არ აქვს. ირაკლი ოქრუაშვილი ცესკო-მ საარჩევნო კანდიდატად რომც დაარეგისტრიროს, მერწმუნეთ, მასში საფრთხე არ არსებობს. მას ადამიანებთან ურთიერთობაც არ ჰქონია, მცირე მხარდაჭერის გამო საარჩევნო კამპანიასაც ვერ აწარმოებს. ბაზარში მოვაჭრეებს მხოლოდ ორჯერ შეხვდა და ხალხთან ურთიერთობაც ამით ამოწურა. ასე რომ, მისი პარტიის წევრების განცხადებებს ობიექტური საფუძველი არ გააჩნია“.**

ცესკო-მ მიიღო გადაწყვეტილება ოქრუაშვილის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ. თავდაცვის ექსმინისტრის ადვოკატი ზვიად კორძაძე კი აცხადებს, რომ ოქრუაშვილის მუდმივი საცხოვრებელი ყოველთვის იყო საქართველო, ამიტომაც იგი კანონს არ არღვევს და, შესაბამისად, საკითხს სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ГРУ-ს აგენტი, საქართველოს შემდეგ, აღმოსავლეთ უკრაინაში გამოჩნდა

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ადასტურებს, რომ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილე პირები უკრაინაში შენიშნეს. ამის შესახებ ვიქტორია ნულანდმა CNN-ის ეთერში განაცხადა. CNN-მა უკრაინაში რამდენიმე დღის წინ და 2008 წელს საქართველოში გადაღებული ფოტოები აჩვენა, რომელზეც, ჟურნალისტის მტკიცებით, ერთი და იგივე ადამიანია დაფიქსირებული. ეს ნულანდმაც დაადასტურა.

„ვფიქრობ, აბსოლუტურად ნათლად გამოვხატეთ ჩვენი შეშფოთება იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში დესტაბილიზაციის შექმნაში რუსეთის ხელი ურევია. ეს ნათლად დააფიქსირეს პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა კერიმ. თქვენც ახლა აჩვენეთ ფოტოგრაფიული მტკიცებულებები. მათზე ის წვერიანი მამაკაცი ჩანს, რომელიც აქამდე რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტი იყო საქართველოში. ახლა კი აღმოსავლეთ უკრაინაში გამოჩნდა“, — აღნიშნა ნულანდმა.

კითხვა ფოტოზე დაფიქსირებული ადამიანის შესახებ ბრიფინგზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელსაც დაუსვეს. ჯენ პსაკის თქმით, არსებობს რიგი ფოტოსურათები, რომლებსაც უკრაინის მხარე აქვეყნებს და, რომელიც შემდგომში ამერიკის ოფიციალურმა პირებმაც გამოაქვეყნეს და ხელმისაწვდომია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

„ისინი აღმოსავლეთ უკრაინაში მოქმედ ცალკეულ პირთა რუსეთთან კავშირის გარკვეულ ნიშნებს აჩვენებს. თქვენ იცით, რომ ჩვენ, მათ შორის პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი, დიდი ხანია ასეთი კავშირის შესახებ საჯაროდ ვაცხადებთ და ეს ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. მანამდეც, სანამ ეს ფოტოები გამოჩნდებოდა, ჩვენ ვამბობდით, რომ რუსეთსა და უკრაინაში მოქმედ შეიარაღებულ პირებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. იმის შესახებ, რა მსგავსება არსებობს ცალკეულ პირებს შორის და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეთ მათ სხვა მოვლენებთან, დასკვნები შეგიძლიათ თავად გამოიტანოთ“, — თქვა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

„ტაბულა“

რუსუდან შელია
557-100-768

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება, წინასაარჩევნო პროცესი კი, აქტიურ ფაზაში გადადის — ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურ დევნასა და არათანაბარ საარჩევნო გარემოზე აპელირებს, რამდენიმე კოალიციად დაშლილი არასაპარლამენტო ოპოზიცია მეორე ტურის მოლოდინშია, მმართველი გუნდი კი არჩევნებში გამარჯვებას წინასწარ ზეიმობს. ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ფონს საგარეო საფრთხეებიც ამძიმებს... „ვერსიასთან" მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე აფასებს.

ხათუნა ლაგაზიძე: „15 ივნისს ამომრჩევლის ძალიან დაბალი დასწრება დაფიქსირდება, რაც ხელისუფლებას ლეგიტიმაციის პრობლემას შეუქმნის!"

— ყოველი არჩევნების წინ, ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებას რაღაც ახალი განსახილველი თემა შესთავაზოს და ამომრჩევლის ხმა გარკვეული პროცესების დაძვრით მოიპოვოს. ამ მიმართულებით „ქართულ ოცნებას" ორი გზა აქვს: 1. სამართლიანობის აღდგენაზე აპელირება, რაც უკვე შემოგვთავაზეს კიდეც. პროკურატურაში ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების გახშირებული დაბარება სწორედ წინასაარჩევნო პროცესის ნაწილია. 2. სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გატარებული კონკრეტული რეფორმების გახმოვანება. თუმცა უკანასკნელ ტაქტიკას ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ვერ გამოიყენებს, რადგან, სამწუხაროდ, ქვეყანაში უმძიმესი სოციალური მდგომარეობა სტაბილურად შენარჩუნებულია.

— ხელისუფლება წარმატებით ვერც სამართლიანობის დამკვიდრების პროცესს ახორციელებს. ყოფილი მაღალჩინოსნების პროკურატურაში ინტენსიურ დაბარებას კონკრეტული შედეგი დღემდე არ მოჰყოლია, საბოლოოდ კი, ხელისუფლებამ პროცესი თავადვე დაასრულა მორატორიუმის გამოცხადებით.

— დიახ, ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენას არასწორი ინტერპრეტაციით ცდილობს. არადა, ეს პროცესი საზოგადოებისთვის მაღალჩინოსნების დაკავებას არც თავიდანვე გულისხმობს. შურისძიების ნაცვლად, მათი ძირითადი მოთხოვნა დანაკარგის ანაზღაურება იყო. ათიათასობით ადამიანის საჩივარი დღემდე პროკურატურის თაროებზე დევს და მორალურ კომპენსაციას უიმედოდ ელოდება, ამიტომ ხელისუფლება არჩევნებამდე სხვადასხვა ტაქტიკას ამუშავებს. ზოგადად, საქართველოში, წინასაარჩევნოდ, პარტიებს შორის პროგრამული ორთაბრძოლა არასოდეს ყოფილა. ბრძოლა მუდმივად „კეთილსა" და „ბოროტს" შორის მიმდინარეობდა და პოლიტიკური ძალები მოწინააღმდეგისგან მტრის ხატის შექმნას ცდილობდნენ. შევარდნაძის დროს მტრის ხატი „აღორძინება" იყო და გვესმოდა, რომ ასლან აბაშიძის არჩევა რუსულ სივრცეში დაბრუნებას ნიშნავდა. მიხეილ სააკაშვილიც, ყველა არჩევნების წინ, მოწინააღმდეგე ძალებს პრორუსულებად აცხადებდა და ყველა საშუალების გამოყენებით უპირისპირდებოდა. დღეს კი, მტრის ხატად „ქართული ოცნება" ნაციონალურ მოძრაობას წარმოაჩენს — მე შეიძლება მოსაწონი არ ვარ, მაგრამ ჩემზე უარესი მტერი მოდის, ამიტომ უნდა ამირჩიოთო.

— დამისახელეთ მიზეზები, რის გამოც ხელისუფლებაში მოსვლიდან წელიწადნახევარში „ქართული ოცნება" არჩევნებში გამარჯვებას საზოგადოებაში ნაციონალური მოძრაობის მიმართ არსებული აგრესიის საფუძველზე ცდილობს.

— რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებას დღეს არჩევის პრობლემა არ აქვს, უბრალოდ, ის თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩევლის გამოყვანას ცდილობს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე ტურების ალბათობა იზრდება. მმართველმა გუნდმა ისიც კარგად იცის, რომ ნაციონალურ მოძრაობას საკმაოდ ორგანიზებული ამომრჩეველი ჰყავს. თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩევლის ძალიან დაბალი დასწრება დაფიქსირდება, რაც ხელისუფლებას ლეგიტიმაციის პრობლემას შეუქმნის. ამ ფონზე, განსაკუთრებით დასავლეთის თვალში, მორატორიუმის გამოცხადება დადებითი ნაბიჯია, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ რეგიონებში გამართული საპროტესტო აქციები საკმაოდ შემაშფოთებელ სიგნალებს გვაძლევს. ეს ხელისუფლების ხელწერად არ უნდა იქცეს.

— თქვენი შთაბეჭდილება როგორია, ნაციონალურ მოძრაობას რეგიონებში „ქართული ოცნების" დაკვეთით დაუპირისპირდნენ, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ წინასაარჩევნოდ ამ ფორმით დაძაბული პოლიტიკური ფონის შექმნა მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას აწყობსო?

— ფაქტია, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ამ ხალხს ვიღაც მართავდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენიმე რაიონში ერთდროულად შეკრება და კვერცხების სროლა თავში არავის მოუვიდოდა. ეს ხელისუფლებამ დაგეგმა თუ არა, ამის თქმა რთულია, მაგრამ პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება. როცა ადამიანს თავისივე მეთოდებით უპირისპირდები, შენც მისნაირი ხდები. ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნისას, საფრთხე, პირველ რიგში, საკუთარ მომავალს შეუქმნა. დღეს მათ რაც უნდა დაბრალონ, ხალხი მარტივად იჯერებს. 9 წლის განმავლობაში მათ მმართველობის იმდენად არაადამიანური ხელწერა ჰქონდათ, რომ ახლა „ქართულ ოცნებას" შეუძლია ნაციონალებს ყველაფერი დააბრალოს და ხელიც მაქსიმალურად შეაწმინდოს. თანაც ისე, რომ ცოტას გაუჩნდება კითხვა, რომელი პოლიტიკური ძალა ესვრის საკუთარ თავს კვერცხებს?! ამ შემთხვევაში სხვა პოლიტიკურ ძალაზე რომ ვსაუბრობდეთ, „ქართული ოცნება" ვერავის დააჯერებდა, რომ პოლიტიკოსებმა საკუთარ თავს კვერცხები დაუშინეს.

— სად არის სხვა პოლიტიკური ძალა — არასაპარლამენტო ოპოზიციაში მოლაპარაკების პროცესი აბსოლუტურად განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიების შეჯგუფებით დასრულდა და ამ ფლანგზე ერთმანეთს სამი პოლიტიკური გაერთიანება დაუპირისპირდა.

— არასაპარლამენტო ოპოზიციას პულსი საერთოდ არ ესინჯება.

დასასრული მე-4 გვერდზე

ქათამი თუ კვერცხი, ანუ პოლიტიკური აღდგომა

გიორგი იაშვილი

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის ჩავლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ აღდგომა ქართულ პოლიტიკას ძალიან ჰგავს. როცა აღდგომა ახლოვდება, როცა სუფრის გაშლაზე ფიქრობთ, პირველ რიგში რა გახსენდებათ?! რა თქმა უნდა — კვერცხი. ახლა დაფიქრდით, როცა ქართულ პოლიტიკასა თუ პოლიტიკოსებზე ფიქრობთ, ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ?! სწორია — კვერცხი. თან, თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი სააღდგომო კვერცხს ძალიან ჰგავს — ზოგი ჩვეულებრივია, არაფრით განსხვავებული და სტანდარტულად შეღებილი, ზოგი ბატის გახლავთ, ზოგიც ინდაურის ან ციცრის, ზოგიც ხისაა, რამდენიც უნდა ურტყა და ელექტროშოკით იმოქმედო, არაფერი ემართება, დიდი-დიდი გაიკაწროს, მაგრამ ფერუმარილი შველის. ხომ გინახავთ, ღებვის დროს კვერცხი რომ იბზარება, მერე გატეხავ და შიგნით წითელი ზოლი გასდევს შუბლის ძარღვივით?! ჰოდა, ასეა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, ზოგს ეს „შუბლის ძარღვივით" ხაზი საერთოდ არ აქვს, ზოგსაც ალაგ-ალაგ გამწყდარი აქვს, ზოგიც კი იმხელაზე გაბზარულა, რომ შუბლის ძარღვის ნაცვლად არტერია გეგონება და სულ სხვა რამეს ჩამოჰგავს.

კვერცხისა და პოლიტიკის შედარება მაშინ გამახსენდა, როცა გოგა ხაჩიძის ახალი სტატუსი წავიკითხე: „ყველა ცეცხლი წვავს". ადვილი მისახვედრია, რომ ხაჩიძე მაცხოვრის საფლავზე გადმოსულ წმინდა ცეცხლს გულისხმობს და აკი ამტკიცებს კიდეც, ეგ ყველაფერი „ბლეფია", ნუ გვატყუებთ, ყველა ცეცხლი წვავსო. რა თქმა უნდა, გოგას პარტიელი მეგობრები აჰყვნენ, ზოგმა ტაში დაუკრა, ზოგმა დითირამბები უძღვნა, ნაწილმა საერთოდ გოგას პრეზიდენტობა მოინდომა. ახლა ვფიქრობ, რომელ კვერცხს ჰგავს ხაჩიძე და მივხვდი, რომ გამორჩეულად არც ერთს იმიტომ, რომ ერთ ფორმატში ვერ ჯდება და იმისდამიხედვით იცვლის ზომასა და ფერს, როგორ იდეებსაც ისვრის ხოლმე. ახლა, ბატონი ვან ბაიბურთი პარლამენტში რომ იყოს, ხაჩიძეს კი ეტყოდა, „იეს ცეს ნერემ, ჰაი ტარაკუმენ რესპუბლიკა", მაგრამ სად სცალია ბაიბურთს ხაჩიძეებისთვის (მით უმეტეს, გოგას მარტივად შეუძლია თქვას, „ონ ტოჟე ხაჩიკიან, ია ტოჟე ხაჩიკიან, ნუ ი ჩტო"), აქეთ „ოცნებაში" მისასვლელ გზებს ეძებს, იქეთ კიდევ მისი შვილი ტელევიზიას ამუშავებს. ჰოდა, ასე „ჩერეზ" ბაიბურთ-უმცროსით მივედით იმ ტელევიზიამდე, რომლის ჟურნალისტებიც შიდა ქართლის ტერიტორიიდან რუსმა სამხედროებმა თუ ოსმა სეპარატისტებმა გაიტაცეს და ცხინვალის იზოლატორში გამოკეტეს. ატყდა ერთი ამბავი, აქეთ აბაშიძე-კარასინის შეხვედრა, იქეთ აღშფოთებული სახალხო დამცველი (წარბი ჰქონდა აწეული), პოლიტიკოსთა განცხადებები და მართალია, ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ მთავარი არავის უთქვამს. ბელა ზაქაიძე, რომელიც ჩემი მეგობარია, შიდა ქართლში კიდევ როდის ჩავა, კაცმა არ იცის, აი, ის ქართველები, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს ცხოვრობენ, ვერ თუ არ მიდიან და ანალოგიური საფრთხე ყოველდღე ემუქრებათ, თუმცა არ თმობენ, ელოდებიან და... კვერცხების იმედად არიან, სააღდგომოდ მიცვალებულების საფლავებზე რომ უნდა გააგორონ და ესეც რისკის ფასად.

სხვათა შორის, სადავო საკითხი, კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი, უფრო გააქტიურდა. 9 აპრილს ვინმე მანჩო გიორგობიანმა ნიკა მელიას სულ ქათამი ეძახა და იმის გათვალისწინებით, რომ მელია 9 აპრილის მემორიალთან „კვერცხების" გარემოცვაში მივიდა, დავიბენი — ვინ როდის გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში, მართლა ვერ გავიხსენე და მოდი, ახლა გაარჩიე, ქათამი უფრო ადრე იყო თუ კვერცხი. ისიც მახსოვს, ბოლო დროს ნაციონალების რამდენიმე ლიდერს, განსაკუთრებით კი გიგი უგულავას კვერცხი რომ არ დაამადლეს და თან დაპირდნენ, სადაც გნახავთ, იქ გაგიმასპინძლდებითო. ამან ნაც-მოს ლიდერები გააბრაზა და ხელისუფლებას დაკვერცხილებსა თუ მოკვერცხილებს ეძახის. სიმართლე გითხრათ, თავიდან გამიჭირდა დაჯერება, მაგრამ ახლა გავიგე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „ქართული ოცნება" ირაკლი შიხიაშვილისა და გია უდესიანის ჩასმას აპირებს. უდესიანი ის კაცია, ზონდერჯგუფის ხელმძღვანელობასა და დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემა-ტყეპაში რომ არის ეჭვმიტანილი, შიხიაშვილი კი ის კაცია, 2012 წლის არჩევნების შემდეგ „ქართულ ოცნებაში" რომ მივიდა და ხმამაღლა განაცხადა — ნაციონალებს მეზარბაზნეები არა ჰყავთო. ახლა, ისე კი არ გამიგოთ, თითქოს კონკრეტულად და მხოლოდ ამ ორი კაცის საწინააღმდეგო მქონდეს რამე, მაგრამ ამომრჩეველს გაუჭირდება გაიგოს, რატომ უნდა მისცეს ხმა იმ ადამიანებს, ვისაც წინა ხელისუფლების დროს ებრძოდა. შიხიაშვილი ხომ ის კაცია, 26 მაისი რომ „გაუპრავა" ნაციონალურ მოძრაობას და რიხით ილაპარაკა, მეტის ღირსები იყვნენო. მაშინ თუ არ იყო მისაღები შიხიაშვილი, ახლა რატომ გახდა?! სევდია უგრეხელიძეს რომ ჩაუდგა ჯიბრში იმიტომ თუ საქართველოს მასშტაბით ვაზელინი დეფიციტური რომ გახადა, იმის გამო?! ამის ახსნა ამომრჩევლისთვის აშკარად გართულდება, იმ ამომრჩევლისთვის, ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც მთელი ცხოვრება ზემოდან რომ უყურებს და ზუსტად ისევე ფიქრობს, რომ კვერცხია, როგორც ამომრჩეველი რწმუნდება არჩევნების შემდეგ, ვინ აირჩია რეალურად. ახლა კი, არჩევნების წინ, ამომრჩეველს მამლის ფუნქცია აკისრია, ეს ყველამ იცის და „ქათმებიც" კეკლუცობენ, ემანდ, მამალი ამომრჩეველი ისე არ მოიქცეს, როგორც 2012 წლის არჩევნებში მოექცა ნაციონალურ მოძრაობას. ეს საფრთხე რეალურად არსებობს და იცით რატომ? ახალ ხელისუფლებას გალაყებული კვერცხები ახალი კრუხისთვის არ უნდა ჩაელაგებინა, ეგებ ახლა მაინც გამოჩეკოსო. მოგეხსენებათ, წიწილებს შემოდგომით ითვლიან, თუმცა ახლა ის დროა, წიწილები ზაფხულშივე რომ გახლავთ დასათვლელი და ქორმა არ მოგტაცოთ, ბატონებო!

დასასრულ, „ბი-ბი-სიმ" დოკუმენტური ფილმი გადაიღო და შეეცადა ევროპელებისთვის აეხსნა, რატომ ქეიფობენ აღდგომის დღეს ქართველები მიცვალებულებთან ერთად და ტელეკომპანიის ჟურნალისტმა ქართული სასაფლაოები შემოიარა. მე კიდევ ის მახსენდება, თინა ხიდაშელმა რომ თქვა, ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური გვამია და მიცვალებულის გაცოცხლების არ მჯერაო. ჰოდა, თუ ხიდაშელი და მისი თანაგუნდელები „მიცვალებულებთან" ერთად თანაცხოვრებას (კოჰაბიტაციას) და კანონების მიღებას ახერხებენ, არ შეიძლება, რიგითმა ადამიანებმა გარდაცვლილ ნათესავებთან ერთად იქეიფონ?!

P.S. ახლა ვიტყვი და არ დამიჯერებთ — „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე, იმ ადგილზე, სადაც მავთულხლართია გაბმული, პრეზიდენტმა კარავი რომ გაშალოს და საპრეზიდენტო რეზიდენცია დაარქვას, ვითომ დაშავდება რამე? კადაფი მთელი ცხოვრება კარავში ათევდა ღამეს და ფეშენებელურ სასტუმროებსა თუ რეზიდენციაზე უარს ამბობდა. ახლა არ მითხრათ, კადაფიმ ცუდად დაამთავრაო. თუ სამართლიანობის აღდგენა არ დაჩქარდა, გნებავთ ერთი და გნებავთ მეორე მხარე როგორ დაამთავრებთ, კაცმა არ იცის.

ჩვენ გიჟები ვართ ანუ ორი ბილეთი უკანა რიგში

გიორგი იაშვილი

რა ხდება ფილმში, რომლის პრემიერაც 17 მაისს შედგება

ჩემს ბავშვობაში ერთი კომუნისტური ანეკდოტი იყო. აზერბაიჯანელ მამედას კაცის გაუპატიურებაზე ასამართლებენ. პროკურორი ეკითხება, როგორ დაიწყო ყველაფერიო და მამედაც ჰყვება: დავინახე ახალგაზრდა კაცი, თეთრი, ცისფერთვალება, ხუჭუჭთმიანი და... პროკურორი გააჩერებს, კარგი მამედ, ჩვენც ხალხი ვართო...

ახლა მეტყვით, ეს ძველი ანეკდოტი რა შუაშიაო და სწორედაც რომ თავშია. რეჟისორი ოთარ მიქელაძე ახალ ქართულ ფილმს იღებს. პრინციპში, რაღა იღებს, უკვე გადაიღო, ფილმს სახელად „ჩვენ გიჟები ვართ“ ჰქვია და მისი პრემიერა 17 მაისს იგეგმება. ფილმის პროდიუსერი დავით ბეჟიტაშვილი გახლავთ და სწორედ მან გვითხრა, რომ ფილმი 17 მაისს სპეციალურად დაამთხვია, რადგან ამ დღეს მსოფლიო ჰომოფობიას ებრძვის, ფილმი კი სექსუალურ უმცირესობაზეა. სანამ ფილმის სცენარზე გეტყოდეთ ორიოდე სიტყვას, შეგახსენებთ, რომ მიქელაძე ის რეჟისორია, რომელმაც რამდენიმე წლის წინ „ამორი, ნარინჯისფერი ფორთოხალი“ გადაიღო და ამ ფილმის მთელი „ხიბლი“ ის გახლდათ, რომ მასში პირველად ქართული კინოს ისტორიაში ინცესტი, ანუ დედა-შვილს შორის სექსის სცენა გათამაშდა. ახლა რაც შეეხება იმას, რომ „ჩვენ გიჟები ვართ“.

ფილმში მთავარი მოქმედი ორი ბიჭია, მეგრელი და კახელი. მეგრელს ვანო შეყლაშვილი ჰქვია, კახელს — ბაჩო გოგოხია. რბილად რომ ვთქვათ, ისინი არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლები არიან, გასაგებ ენაზე კი „პირადასტების“ როლს ასრულებენ (ვიცი, სწორი ფორმა პედერასტია, მაგრამ ქართულად ასე ჟღერს, რა).

შეგახსენებთ, რომ 17 მაისს ლგბტ აქტივისტებმა ქუჩაში გამოსვლაზე უარი თქვეს და, სავარაუდოდ, კინოთეატრებში შეიკრიბებიან. სერიოზული ეჭვი მაქვს, ამ ფილმის პრემიერაზე უკანა რიგების ბილეთები ძალიან ძვირი იქნება და ვინძლო ფილმს დარბაზში არსებულმა ცოცხალმა სცენებმა აჯობოს, თუმცა ვინ იცის...

ახლა იმ ანეკდოტს დავუბრუნდეთ. პროკურორი, ხუჭუჭთმიანი, ცისფერთვალა, თეთრი დაზარალებული (პრინციპში, მაგას დაზარალებული კი არა, სხვა რამ ჰქვია), ფილმის მეგრელ გმირს ბაჩო ჰქვია და მიპასუხეთ ახლა, არის თუ არა ეს მთავარი პროკურორის, გიორგი ბადაშვილის პროვოკაციაზე წამოგების მცდელობა?! როგორი საქმეა, კახელ ბადაშვილს ვიპ-პატიმრად მეგრელი ბაჩო რომ ჰყავს?! (სხვათა შორის, მეორე ვიპ-პატიმარი ივანე ამ ამბით თურმე ისეთი ბედნიერია, სიხარულის ცრემლი სდის). ან არის თუ არა ეს ფილმი და მისი სცენარი მთლიანად მინისტრთა კაბინეტის დისკრედიტაციის მცდელობა? როგორი საქმეა, 17 მაისის შემდეგ კახელმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომა ჩაატაროს, ერთ მხარეს ალასანია ეჯდეს, მეორე მხარეს ოდიშარია და... სად გაასწრო ნარმანიამ ფილმის პრემიერას...

ახლა პარლამენტს გადახედეთ. სპიკერი კახელი უსუფაშვილია, პარლამენტში კი კი მეგრელების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით და წინა სხდომის დარად, 17 მაისის შემდეგ, უსუფაშვილმა რომელიმე მეგრელ დეპუტატზე რომ თქვას, სხდომა რატომ გააცდინა, გამირკვიეთო, ეჭვიანობის სცენას არ დაემსგავსება?!

თქვენი არ ვიცი და, მე შიშით ველოდები იმას, როდის დაასახელებს რომელიმე პარტია თბილისის მერობის კანდიდატად კახელს. ასეთ შემთხვევაში, დებატები, რომელშიც, ერთის მხრივ, ის კახელი იქნება წარმოდგენილი, მეორეს მხრივ კი მელია, ნარმანია თუ კუკავა, პრაქტიკულად, ახალი ფილმის კონკურენტად იქცევა და ნებისმიერ ქართული დებატი მარტივად რომ ამტკიცებს ისედაც ცნობილ აქსიომას, „ჩვენ გიჟები ვართ“, ახალ-ახალ პრემიერად შეიძლება აღვიქვათ.

აქეთ კიდევ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ელოდება პრემიერას და იმუქრება, იქ მისვლისა თუ შესვლის მსურველებს შავ დღეს დავაწევთო. წინა 17 მაისის გათვალისწინებით, „ტაბურეტკებისა“ და გრძელტარიანი დროშების ტრიალი აშკარად იქნება, მაგრამ, შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ 16 მაისს, საქართველოში, საფრანგეთის პრეზიდენტი, ფრანსუა ოლანდი ჩამოდის. ეს კი ნიშნავს, რომ ოლანდს პირადად ეცოდინება, 17 მაისს აქ რა მოხდება და ვინძლო, პრემიერაზე დასწრებაც მოისურვოს. რა გინდა, მერე რომ ქნა? საფრანგეთის პრეზიდენტს დროშის ტარი ან ტაბურეტი რომ მოუღერო, საერთაშორისო სკანდალია. თანაც, ჯერ კიდევ პრეზიდენტობამდე მუსიე ფრანსუა აშკარად არ იყო შემჩნეული არატრადიციულ ორიენტაციაში და ახლა ხომ საერთოდ, ქალებს ისე იცვლის, როგორც მიშა იცვლიდა თავის დროზე მინისტრებს.

სამეგობროში მეგრელებიც მყვანან და კახელებიც და ახლა იმაზე ვფიქრობ, 17 მაისის პრემიერის შემდეგ, მათი ერთად გამოჩენა რამდენად მისაღები იქნება? ბეჟიტაშვილი აქეთ გვიმტკიცებს, მართალია, ეს კომედიაა, მაგრამ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სექსუალური უმცირესობის დისკრიმინაციას ვეწევით, უფრო პირიქითო და სერიოზული ეჭვი მაქვს, თუ ამ ტემპებით გავაგრძელებთ „განვითარებას“, ეს უმცირესობა უმრავლესობად მოგვევლინება, მერე აქეთ დაგვიძახებენ უმცირესობას და უკვე გადაიღებენ ფილმს, რომელშიც კაცი ქალთან მეგობრობს და გაგვიმართავენ მერე არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები (უკვე უმრავლესობაში რომ იქნებიან) აქციებს და ტაბურეტის რა გითხრათ, მაგრამ თმებს დაგვაწიწკნიან და სახეს ჩამოგვკაწრავენ.

P.S. სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად იმან გამაკვირვა, რომ ამ ფილმში რამაზ იოსელიანიც მონაწილეობს. იგი არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელთა „მამაშაა“ (თუ კაცის შემთხვევაში „პაპაშა“ ითქმის) და... ისე, იოსელიანი წმინდა სვანური გვარია და აქეთ კახელი, იქეთ მეგრელი, სვანი... თურმე კახა კალაძე წუწუნებს, ვინმემ გამაგებინეთ, ეს ფილმი იმერლების დისკრედიტაციისთვის არის თუ პირიქითო...

P.P.S. სოზარ, 17 მაისის შემდეგ მთავრობის სხდომაზე ნასვამ მდგომარეობაში მისვლას არ გირჩევ, რა იცი, რა ხდება...

ხათუნა ლაგაზიძე: „15 ივნისს ამომრჩევლის ძალიან დაბალი დასწრება დაფიქსირდება, რაც ხელისუფლებას ლეგიტიმაციის პრობლემას შეუქმნის!“

მე-3 გვერდიდან

მათ პრეტენზია აქვთ, ნაციონალური მოძრაობა მთავარ ოპოზიციად რატომ გამოცხადდაო, არადა უნდა მიხვდნენ, რომ პრობლემა მხოლოდ მათშია. ბუნებრივია, ხელისუფლებას ოპოზიციად ნაციონალური მოძრაობა აწყობს, მათთან ოპონირება კომფორტულია, მაგრამ დანარჩენი ოპოზიცია საკუთარ სისუსტეს ნურავის დააბრალებს. რეალურად, მათ ფლანგზე ადამიანური რესურსი საკმაოდ მცირეა. ასეთ ვითარებაში, არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება ლოგიკური პროცესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ, ყველა ცალკ-ცალკე გაიფანტა.

— ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივ არჩევნებშიც ნაციონალურ მოძრაობას მეორე ადგილზე გასვლა გარანტირებული აქვს?

— რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე მობილიზებული ამომრჩეველი ჰყავს.

— არჩევნებამდე საგარეო საფრთხეც მატულობს. უკრაინის მოვლენების ფონზე, საქართველო რუსეთის აგრესიისგან რამდენად დაცულია?

— რამდენიმე თვის წინ, საკმაოდ გავლენიანი ექსპერტებისთვის რომ გეკითხათ, რატომ დააანონსა პუტინმა 2015 წელს ევრაზიის კავშირის შექმნაო, გაგაქილიკებდნენ. ცოტა ხნის წინ, ეს თემა მხოლოდ ხუმრობის საგანი იყო, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ პუტინი თავისი მიზნის განსახორციელებლად უკან არაფერზე დაიხევს. 2015 წელს ევრაზიის კავშირის შექმნის იდეას, დასავლეთი მართლაც სასაცილო სანქციებით ვერ შეაჩერებს. ერთი რამ არ მესმის: რუსეთის საინფორმაციო პროპაგანდა, კონკრეტულად, უკრაინასთან მიმართებაში, პუტინის მიზნებს წინასწარ აანონსებს. უკრაინაში არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც რუსულ ტელევიზიებში წინასწარ არ აჟღერებდნენ. მოვლენების ამ სცენარით განვითარების შესახებ ჟირინოვსკიც მუდმივად საუბრობდა. ახლა დასავლეთი თავისმართლებას ცდილობს, ჟირინოვსკის განცხადებები სერიოზულად როგორ აღვიქვათო, მაგრამ საბოლოოდ, არასერიოზულ იმიჯს თავად იქმნის. რუსეთი კომიკური პერსონაჟებით ცდილობს მოთელვას და დასავლეთის რეაქციებს ამოწმებს, კონკრეტულ მოქმედებებს კი ამის შემდეგ იწყებს.

— ჟირინოვსკი საქართველოსაც ხშირად ახსენებს. ერთ-ერთ ბოლო განცხადებაში საუბრობდა, საქართველო ან მთლიანად უნდა დავიპყროთ ან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად ჯანდაბაში გავაგზავნოთო. ეს განცხადება რეალურად პუტინის გზავნილია?

— რა თქმა უნდა... სამწუხაროდ, ამ ფონზე, დასავლეთი სხვა ვირტუალურ სივრცეში ცხოვრობს, რუსეთი კი, სულ სხვა განზომილებაში მოქმედებს. ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ უკრაინის საკითხმა აქტუალობა დაკარგა, რადგან ანონსდება, რომ იანუკოვიჩი დონეცკში, შემდეგ კი კიევში შესვლას გეგმავს. არადა, როცა მაიდნის მოვლენები დაიწყო, ამერიკაში ვიმყოფებოდი. იქ უკვე იცოდნენ, რომ რუსეთი ყირიმში შევიდოდა, თუმცა აღმოსავლეთ უკრაინაში შესვლის მცდელობას არც კი განიხილავდნენ. რუსეთი აღარ გაჩერდება. ბუნებრივია, საქართველოსთვის უკიდურესად საშიში ვითარება იქმნება, თუმცა მოვლენების პროგნოზი — რა იქნება ასოცირების ხელშეკრულებამდე ან მის შემდეგ, შეუძლებელია. თუმცა, ამ ფონზე, საქართველოში რუსეთის შემოსვლის საფრთხე ერთი ათად იზრდება.

> **სხვათა შორის, ცხინვალში ქართველი ჟურნალისტების დაკავების შესახებ რუსეთი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ძალიან ცუდად მენიშნა. ფაქტობრივად, ამ განცხადებაში საქართველო ორ ნაწილად დაიყო: ერთი, რომელსაც რუსეთთან სიახლოვე სურს, მეორე — მათთან დაპირისპირებული მოსახლეობა. რუსეთის საინფორმაციო პროპაგანდისტურმა მანქანამ უკრაინის მოქალაქეები სწორედ ამ პრინციპით დაჰყო. აქ საუბარია იმაზე, რას მოინდომებს რუსეთი, საქართველოს სამხედრო ძალით დაპყრობას შეეცდება თუ „კეთილ ნებას“ გამოიჩენს და, როგორც ვერსიები ვრცელდება, ნატო-ზე უარის თქმის სანაცვლოდ, საქართველოს სამხრეთ ოსეთს დაუბრუნებს, შემდეგ კი, ეტაპობრივად, ევრაზიულ კავშირში შესვლას მოსთხოვს.**

— საქართველოს ასარჩევად მხოლოდ ეს ორი ვარიანტი დარჩა?

— მხოლოდ მოვლენების განვითარების შესაძლო ვერსიებზე ვსაუბრობ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რუსეთის ეკონომიკა რამდენს გაუძლებს და დასავლეთიც სირაქლემის პოზაში ყოფნას როდემდე შეეცდება.

არამდგრადი ამინდი თვის ბოლომდე გაგრძელდება

საქართველოში არამდგრადი, წვიმიანი ამინდი თვის ბოლომდე გაგრძელდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის პიდრომეტეოლოგიური სამსახურის უფროსმა, სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა, საქართველოში წვიმიანი ამინდი დღის ბოლომდე შენარჩუნდება; შესაძლოა, უმეტეს რაიონებში ღამითაც იწვიმოს. ხვალიდან დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონში გამოიდარებს, აღმოსავლეთ საქართველოში კი წვიმა შენარჩუნდება.

24 აპრილს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიდარებს, 25-27 აპრილს კი კვლავ წვიმაა მოსალოდნელი. 28 აპრილს ამინდი შედარებით გაუმჯობესდება.

23-24 აპრილს საქართველოში დღისით ჰაერის საშუალო ტემპერატურა 24 გრადუსამდე იქნება. 25 აპრილს დასავლეთ საქართველოში იგივე ტემპერატურა შენარჩუნდება, აღმოსავლეთ საქართველოში კი აცივდება და ტემპერტურა 16-18 გრადუსამდე დაიკლებს.

„ინტერპრესნიუსი“

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორების მივლინების ხარჯი არაკეთილსაიმედო ქვეყნებში იზრდება

გააძვირებს თუ არა მთავრობის ახალი დადგენილება იმპორტირებულ პროდუქციას?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც ძალაში 21 აპრილს შევიდა, არაკეთილსაიმედო ქვეყნებში სურსათის ეროვნული სააგენტოს იმ ინსპექტორთა მივლინების ხარჯი იზრდება, რომლებსაც პროდუქციის ხარისხის შემოწმება ევალებათ. იმპორტიორები კი აცხადებენ, რომ მთავრობის ეს დადგენილება საქართველოში იმპორტირებულ პროდუქციას გააძვირებს. გავრცელებული ინფორმაციით, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორთა მივლინების ხარჯი გაორმაგდება, ხოლო აზიის ქვეყნებში გაოთხმაგდება. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში და აცხადებენ, რომ ახალი დადგენილება იმპორტირებული პროდუქციის ფასზე არ აისახება.

სურსათის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, **მაკა შუბლაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ცვლილება მთავრობის ორ დადგენილებაში შევიდა. პირველი დადგენილება არაკეთილსაიმედო ქვეყნებში ინსპექტირების განხორციელების საფასურს, ხოლო მეორე, უშუალოდ, პროცედურებს ეხება:

„როდესაც არაკეთილსაიმედო ქვეყნებში სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ინსპექტირება ტარდება და, თუ სააგენტოს მიერ კომისიაზე განხილული შედეგები დადებითია, ამ საწარმოდან საქართველოში პროდუქციის იმპორტირება 6 თვის განმავლობაშია შესაძლებელი. ცვლილების შესაბამისად, 6 თვე 1 წლამდე გაიზარდა ანუ იმპორტიორს უკვე საშუალება ექნება, საწარმოდან პროდუქციის იმპორტი 1 წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი შემოწმების შედეგად განახორციელოს. როგორც ხედავთ, ეს პროცედურა გაიოლდა და ცვლილება იმპორტიორებს ხელს შეუწყობს; მეორე ცვლილება, უშუალოდ, ინსპექტირების საფასურს ეხება — ამიერიდან, ერთი საფასურით ინსპექტირება ერთი ქვეყნის ორ საწარმოში ჩატარდება. აქამდე ასეთი შესაძლებლობა არ არსებობდა, რადგან მხოლოდ ერთი საწარმო მოწმდებოდა, თანაც წელიწადში ორჯერ. შესაბამისად, როგორც ხედავთ, საფასური განახევრდა, თუმცა უშუალოდ ხარჯი მთავრობის 59-ე დადგენილებითაა განსაზღვრული და ცხადია, გარკვეულ ქვეყნებში, საფასურის მატებაცაა, მაგრამ გაორმაგებული და მით უმეტეს, გაოთხმაგებული ნამდვილად არ არის. აქედან გამომდინარე, თუ ამ ორ ასპექტს შევადარებთ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ხარჯი არათუ გაძვირდა, პირიქით, გაიაფდა კიდეც“.

მაკა შუბლაძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ მთავრობის ეს დადგენილება, საქართველოში იმპორტირებულ პროდუქციას არ გააძვირებს, რადგან სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორთა სამივლინებო ხარჯი მას შემდეგ გაიზარდა, რაც კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივი ბაზრები შეისწავლეს. მაკა შუბლაძის თქმით, სამივლინებო ხარჯში ინსპექტორის მგზავრობის ანუ ბილეთის ფასი, ასევე ინსპექტირების პერიოდში კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრებისა და კვების საფასური შედის. მას შემდეგ, რაც კონკრეტულ, არაკეთილსაიმედო ქვეყნებში მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯს გადახედეს, სამივლინებო ხარჯი გაზარდეს, რადგან ინსპექტირება სრულყოფილი და ეფექტური ყოფილიყო. მაკა შუბლაძის განცხადებით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთსა და იმავე ინსპექტირებას ორი ინსპექტორი ახორციელებს, რადგან ნებისმიერი საკითხი ერთპიროვნულად არ შეფასდეს. აქედან გამომდინარე, მომსახურების ახალი საფასური ორი ინსპექტორის ხარჯს ფარავს, რასაც იმპორტიორი იხდის. რაც შეეხება არაკეთილსაიმედო ქვეყნებს, მაკა შუბლაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ ქვეყნების ნუსხას საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომელიც საერთაშორისო ვეტერინარული ბიუროს მონაცემებს ეყრდნობა:

„საერთაშორისო ვეტერინარული ბიურო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხას სისტემატიურად აქვეყნებს და ითვალისწინებს, თუ რა ეპიზოოტიური მდგომარეობაა ამა თუ იმ ქვეყანაში, იფეთქა თუ არა დაავადებამ... ამ მონაცემების საფუძველზე, არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხა პერიოდულად იცვლება. ნუსხაში ბევრი ქვეყანა შედის, მაგრამ აუცილებელი არ არის, ერთ კონკრეტულ ქვეყანაში ყველა დაავადება იყოს. მაგალითად, შესაძლოა, რომელიმე ქვეყანაში აფრიკული ცხელებაა და ამ ნუსხაში ამიტომაც მოხვდა, შესაბამისად, სწორედ ამ დაავადებაზეა შეზღუდვა, სხვა ქვეყნებში კი სხვა დაავადებაზე. არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში ევროპის ქვეყნებიც შედიან, მაგრამ იქ ადგილზე ინსპექტირებას არ ვახორციელებთ იმიტომ, რომ კონტროლის ევროპული სისტემა აღიარებული გვაქვს და მათ მონაცემებს ვეყრდნობით. არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში აზიისა და აფრიკის ქვეყნები, ინდოეთი და ჩინეთი მოხვდნენ, სადაც ადგილზე ინსპექტირებას ვახორციელებთ. რაც შეეხება დსთ-ს, ეს ნუსხა საკმაოდ დიდია და ყველა ქვეყანას ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ შედის რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, გაარჩინა, რა დაავადებებია იქ“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ახალი მემარჯვენეების ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა, **ლევან კალანდაძემ** აღნიშნა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ინსპექტორთა სამივლინებო ხარჯს ერთადერთი მიზეზით ზრდის, რათა ადგილზე შეისწავლოს, რა პირობებში ან რა სტანდარტით აწარმოებენ პროდუქციას, რომელიც საქართველოს ბაზარზე ხვდება:

„თავისთავად, ეს ცვლილება იმპორტირებულ პროდუქციას ნამდვილად არ გააძვირებს და, შესაბამისად, სამივლინებო ხარჯის ზრდა იმპორტირებული პროდუქციის ფასზეც არც აისახება. ამ ინიციატივასა და ფასთწარმოქმნას შორის არანაირი ბმა და კორელაცია არ არსებობს, მაგრამ შესაძლოა, აღნიშნული მივლინებების შედეგად, რიგ პროდუქციაზე სტანდარტების დარღვევა გამოვლინდეს. შესაძლოა, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა დაადგინონ, რომ ესა თუ ის პროდუქცია არასწორ, არაჰიგიენურ ან ანტისანიტარულ პირობებში იწარმოება და ცხადია, სანიტარული ზედამხედველობის სამსახური ადეკვატურ ზომებს მიიღებს — ასეთ პროდუქციას ან აკრძალავს ან შეზღუდავს. ბუნებრივია, ეს გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნის მეწარმეებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ღონისძიება და ზოგადად, ამ ტიპის პოლიტიკა მომხმარებლის უფლებებს იცავს. მესმის, ბიზნესი მართლაც პრიორიტეტულია, მისთვის კომფორტული გარემო და საიმპორტო რეჟიმების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კომფორტული რეჟიმი მომხმარებლის ხარჯზე არ უნდა დაწესდეს. მომხმარებელი დაცული უნდა იყოს ანუ ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ორმაგი ინტერესი აქვს, ბიზნესიც უნდა დაიცვას, რათა თავისუფალი, კონკურენტუნარიანი იყოს, მაგრამ იმავდროულად, სახელმწიფოს ინტერესშია მომხმარებლის დაცვაც, განსაკუთრებით ისეთი პროდუქციის მიწოდებისგან, რომელიც ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საზიანოა“.

მართალია, ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ მთავრობის დადგენილება იმპორტირებულ პროდუქციას არ გააძვირებს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, საქართველოს ბაზარზე გარკვეული პროდუქციის დეფიციტი შეიქმნას იმ შემთხვევაში, თუ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები ამ პროდუქტს აკრძალავენ ან შეზღუდვას დააწესებენ. მიუხედავად ამისა, ლევან კალანდაძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ საქართველოს სასურსათო ბაზარზე ამა თუ იმ პროდუქციის კონცენტრაციის მაჩვენებელი არც ისე მაღალია, მისი შეზღუდვით, ბაზარზე დეფიციტი შეიქმნას:

„ერთი, რომელიმე კონკრეტული პროდუქტი, საკმაოდ მარტივად ჩანაცვლებადია სხვა პროდუქტით. შესაბამისად, თვითონ იმპორტიორი უნდა იყოს ორიენტირებული, გადააწყოს საკუთარი საიმპორტო პოლიტიკა იმ პირობებზე, რაც მომხმარებელს ზიანს არ მიაყენებს. უშუალოდ, იმპორტიორი უნდა იყოს დაინტერესებული, ისეთი პროდუქცია არ შემოიტანოს, რომელიც შესაძლოა, სახელმწიფომ დაბლოკოს. შესაბამისად, მთავრობის ამ დადგენილებაში დიდ საფრთხეს ვერ ვხედავ, რაც რომელიმე პროდუქტის გაძვირებას ან დეფიციტს გამოიწვევს. ამ ეტაპზე, კვებისა და პირველადი მოხმარების პროდუქტის ბაზარზე ისედაც ფართო ასორტიმენტია, სადაც ერთი ან თუნდაც რამდენიმე პროდუქტისთვის გარკვეული რეგულაციების დაწესება მონოპოლიურ რისკს ვერ გააჩენს. მესმის, ისეთი იმპორტიორებიც არსებობენ, რომლებისთვისაც პრიორიტეტული პროდუქტის ხარისხი კი არა, მხოლოდ მისი ფასია, ამიტომ საეჭვო რეპუტაციისა და სტანდარტის პროდუქციას აწვდიან ადგილობრივ მომხმარებელს. მათთვის მთავრობის ეს დადგენილება ნამდვილად დისკომფორტი იქნება და ეს ასეც უნდა იყოს!“

ლევან კალანდაძის განცხადებით, არაკეთილსაიმედო ქვეყანაში პროდუქციის ადგილზე ინსპექტირება ჩვეულებრივი პროცედურაა. მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, ევროპის ქვეყნების ანალოგიური სამსახურები მსგავსი ტიპის ინსპექტირებას ყოველთვის ახორციელებენ. მისი თქმით, ახალი რეგულაცია საქართველოს სასურსათო ბაზარზე ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს, თვითონ იმპორტიორები გადაეწყობიან ახალ სტანდარტებზე და საკუთარ პოლიტიკას ამ რეგულაციის შესაბამისად გადააწყობენ:

„იმპორტიორები საკმაოდ ელასტიურები და მოქნილები არიან საკუთარი პოლიტიკის მართვაში და ამიტომ ადგილობრივ ბაზარზე არც ერთი პროდუქტის დეფიციტი არ გაჩნდება. რაც მთავარია, საქართველოს იმპორტორებული სასაქონლო ჯგუფები მცირე მასშტაბისაა და შესაბამისად, მათი მართვა, ტრანსპორტირება და კონკრეტულ რეგულაციაზე მორგება ყოველთვის მარტივია“.

ვერსიანიუსი

რა ელის საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთის პასპორტებს მიიღებენ

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქეები რუსეთის პასპორტებს გამარტივებული წესით მიიღებენ, ავტომატურად დაკარგავენ საქართველოს მოქალაქეობას, დეპორტის თავიდან ასაცილებლად კი ვიზით სარგებლობა ან ბინადრობის უფლების მიღება მოუწევთ. რუსეთში მიღებული კანონით, რუსეთის მოქალაქეობა გამარტივებული წესით შეუძლიათ მიიღონ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც რუსულ ენას ფლობენ და ყოველდღიურად იყენებენ მას.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნათია სულავა ამბობს, რომ, როდესაც სახელმწიფო მისი მოქალაქის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შესახებ შეიტყობს, ავტომატურად იწყებს მისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სამთვიან პროცედურას. მას შემდეგ კი, თუ მოისურვებენ საქართველოში ცხოვრებას, დეპორტაციის თავიდან ასაცილებლად, მოუწევთ ან ვიზით ისარგებლონ, ან ბინადრობის ნებართვა აიღონ.

რუსეთის ფედერაცია პოსტსაბჭოთა სივრცის რუსულენოვან წარმომადგენლებს გამარტივებული წესით თავისი მოქალაქეობის მინიჭების სანაცვლოდ სწორედ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დატოვებას სთხოვს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. კონსტიტუცია ორმაგი მოქალაქეობის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს ითვალისწინებს, როდესაც პრეზიდენტი ანიჭებს ადამიანს საქართველოს მოქალაქეობას. კანონის მიხედვით, ეს ფაქტი ან სახელმწიფო ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს, ან ასეთ ადამიანს განსაკუთრებული დამსახურება უნდა ჰქონდეს თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან ისეთი პროფესიითა და კვალიფიკაციით გამოირჩეოდეს, რომლითაც საქართველო დაინტერესდება.

„ნეტგაზეთი“

საპატრიარქო ეპისტოლე

სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ისა

„წყალობაი და ჭეშმარიტებაი შეიმთხვივნეს, სიმართლემან და მშვიდობამ ანამბორს-უყვეს“ (ფს. 84,10).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მამანო და დედანო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, სასულიერო და საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

აღდგომის მადლითა და სიხარულით აღვსილი ვადიდებთ უფალს და თქვენ ყოველთა გულითადად გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

აღსრულდა!

აღსრულდა ის, რაც განჩინებული იყო უწინარეს საუკუნეთა!

„ვნებითა მით შენითა, ქრისტე, ვნებათაგან განვთავისუფლდით და აღდგომითა შენითა ხრწნილებისაგან ვიხსენით, უფალო, დიდება შენდა!“

49 დღე ემზადებოდნენ მორწმუნენი ამ ზეიმის შესახვედრად.

შვიდი კვირის განმავლობაში ყველანი ვცდილობდით სულიერი კიბით ზესვლას, რათა ძალისამებრ ჩვენისა მომზადებულნი ვზიარებოდით პასექის სიხარულს, რომლის სადიდებლად ენა ამაოდ დაშვრება, რადგან ადამიანური მეტყველება უძლურია, გადმოსცეს ღვთის სიყვარულის ის საოცარი გამოვლინება, რისი მომსწრე და მხილველიც კაცთა მოდგმა 1981 წლის წინ გახდა.

აღდგომა, ეს არის ნეტარ მარადისობასთან ზიარების, წარუვალი სიკეთისა და სიხარულის მაუწყებელი დღე.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“ (I კორ, 15,55).

ქრისტე აღდგა! გიხაროდეთ!

გარდა იმისა, რომ მაცხოვარმა ჩვენმა ბოროტება შემუსრა, თითოეულ ჩვენგანს უჩვენა გზა ხსნისა, უჩვენა მაგალითი ცხოვრებისა, ისეთი სიცოცხლისა, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული.

ბედნიერება, ეს არის ის ცნება, ის მდგომარეობა, რომელსაც ესწრაფვის ყველა ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნისა და ერის წარმომადგენელია იგი. ოღონდ, რა თქმა უნდა, ბედნიერებას ესა თუ ის პიროვნება სხვადასხვანაირად აღიქვამს. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ ზოგნი ამას ღმერთთან სიახლოვეში ხედავენ, ზოგნი კი, მის გარეშე მოიაზრებენ.

ამ გაორებას სათავე სამოთხეში დაედო.

ღმერთთან ერთობის პერიოდში ადამი და ევა აქ უზრუნველად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როდესაც მათ, საკუთარი თავის კიდევ უფრო მეტად განდიდების მიზნით, უფლის დარიგება უგულებელყვეს, ქვენა მიდრეკილებებს გაუხსნეს კარი და თვითონაც და მათი შთამომავლობაც გაორდა:

კაენის სულის მქონეთ ღმერთს ზურგი აქციეს და დაემონნენ ეგოისტურ ზრახვებს, ამბიციას, ხორციელ და გრძნობად მოთხოვნილებებს: ისინი ცდილობენ აქ, ამ წუთისოფელში, მიიღონ შესაძლო პატივი, სიმდიდრე, სიამოვნება... იმქვეყნიური ცხოვრებისა კი ან არ სწამთ, ან ამ თემაზე საკუთარი წარმოდგენა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ განსჯიან. აბელ-სეითის გზით მავალნი კი ბედნიერებას მხოლოდ უფლის წიაღს უკავშირებენ.

მათთვის მიწიერი ცხოვრება, ეს არის სამოთხიდან განდევნილთა ადგილი, ის დრო და სივრცე, სადაც ადამიანმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს თავისი ხვედრი და შეამზადოს თავისი მარადიული მომავალი.

ასეთი პიროვნებებისათვის ადამიანური ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო შემოქმედის ამ სიტყვებშია გაცხადებული: **„შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი“ (მრ. 12, 30-31).**

პირველი მცნება გულისხმობს ღვთისადმი ისეთ სიყვარულს, რომელიც ყველაზე ძლიერი უნდა იყოს ჩვენში.

— როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ამ განწყობით?

— შემოქმედზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავისი და არაფრის სიყვარული და ამასთან, ყოველივე ჩვენს თავზე მოწევნული, — სიხარული თუ განსაცდელი, — უნდა მივიღოთ მადლიერებით.

— განა თუნდაც მშობლების ან შვილებისადმი გამორჩეული სიყვარული სწორი არ არის?

— ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, გულმხურვალე, თავგანწირული სიყვარულის რელიგია და, ბუნებრივია, ახლობლებისადმი დიდი სითბოსა და მზრუნველობის გამოჩენა არა თუ კარგია, ჩვენი ვალდებულებაა. ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენც, ჩვენს მშობლებსა და მათ წინაპართ, ისევე, როგორც ჩვენს შვილებს და მათ შთამომავლებს, სიცოცხლეც და სხვა ყოველივე სიკეთეც უფლისაგან მოგვეცა. იგი არის ყველაზე დიდი მშობელი, ყველაზე დიდი ახლობელი ყველასათვის, ყველაზე მართალი და გულწრფელი გულშემატკივარი, იმედი და ნუგეშინისმცემელი ჩვენი.

ამიტომაც, როცა, თუნდაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საჭიროა ჩვენთვის.

— მაგალითად, შვილის გარდაცვალებაც?

— რა თქმა უნდა, ეს უდიდესი ტკივილია და ბოლომდე ღვთის განგებულებას ვერავინ ჩაწვდება. თუმცა, ასეთ შემთხვევებში ვხედავ იმ აზრს, რომ უფალს ადამიანი თუნდაც ახალგაზრდა, გაყავს ამქვეყნიდან მისი ცხონებისათვის საუკეთესო პერიოდში. და, ბუნებრივია, იგი ცათა შინაც შესაფერის ადგილს დაიმკვიდრებს; ხოლო ის ტკივილი, რაც მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს მიეყენებათ, კიდევ ერთხელ დააფიქრებს მათ სიცოცხლის საზრისზე, მთავარ ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ზესთასოფელზე... ყოველივე ეს კი იწვევს ფერისცვალებასა და უკეთესობისაკენ მათ შეცვლას. ანუ, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდები მიზეზნი ხდებიან თავისი ახლობლების სულიერი გადარჩენისაც, რაც უდიდესი მადლია იმქვეყნად წასულთათვისაც და აქ მყოფთათვისაც;

ხოლო თუ ამ ხალხს ასეთმა განსაცდელმაც ვერ უშველა, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მათს გულებში უფლის ადგილი არც არასოდეს იქნება.

— და რაკი ადამიანი გამუდმებით სცოდავს, მითუმეტეს ჩვენს დროში, განსაცდელებით ამიტომ ვართ სავსენი?

— ეს, მართლაც ასეა. დემონი ყოველნაირად ცდილობს, თითოეული ადამიანის სული მიიზიდოს და მიიტაცოს. სთესავს მასში ეჭვსა და ურწმუნოებას, ყველაფრისადმი ზერელე დამოკიდებულებას, ბინდავს გონებას ათასგვარი სიამოვნებით და თვალსანიერს მხოლოდ წუთისოფლით უფარგლავს, რათა იგი გონს არ მოეგოს და ხელიდან არ დაუსხლტეს.

ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც, თუმცა თანამედროვე ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო. ადრე დევნიდნენ და აწამებდნენ მორწმუნეებს, ანგრევდნენ ტაძრებს, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეთ, მაგრამ ზნეობაზე სიტყვით მაინც უარს არ ამბობდნენ.

თანამედროვე ფსევდო-ლიბერალიზმს კი სურს, მოსპოს ცნება ცოდვა. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად „ბოჭავს“ ადამიანს და „თავისუფლებას“ აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ, გააქრონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო, ზოგადადამიანურ ღირებულებებთანაც, ფაქტობრივად, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ. აჩვენებენ სადიზმითა და სექსოპათიით გაჯერებულ ფილმებს და თან „გართობის“ მიზნით სხვადასხვა „შოუსა“ და გადაცემებში ირონიით საუბრობენ ადამიანურ ღირსებებზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, რათა, მათი თქმით, ხალხი „განკურნონ ნევროზისა და ფობიებისაგან“.

ეს მეთოდიკა ისეთი ფორმით ინერგება, რომ ზოგჯერ თვით ამ „სპექტაკლების“ მონაწილეთაც არ ესმით, სინამდვილეში რას ემსახურებიან და რატომ აქვთ ასეთი დაკვეთები. ვითომ ორიგინალობის და სიახლის შემოტანის სურვილით აკეთებინებენ ამას, სინამდვილეში კი საყოველთაო ურწმუნოებასა და ეშმაკეულ ცნობიერებას ამკვიდრებინებენ, რითაც, რა თქმა უნდა, ღმერთს განარისხებენ:

„ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება. მისთვის უმჯობესი იქნებოდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“ (მთ.18,6, 18,7) — ბრძანებს უფალი.

ბუნებრივია, ადამიანის ისედაც სუსტ ბუნებას უჭირს გაუძღოს ბოროტის ამდენ მახეს. ამიტომაც, სახეზე გვაქვს საყოველთაო დაცემა და ამ ფონზე არც მართლმადიდებლები არიან განსხვავებულ მდგომარეობაში. მათ შორისაც გახშირდა სიცრუე და ღალატი, ეგოისტური მიდგომები, უარის თქმა ოჯახურ ვალდებულებებზე, გულგრილობა. ყოველივე ეს კი სულიერ სამყაროში ინვევს სერიოზულ რღვევებს, რასაც ზოგიერთი გრძნობს, მაგრამ არ რეაგირებს, ზოგიერთი კი ვერც აცნობიერებს და აგრძელებს ცოდვასთან კავშირს.

მაგრამ თუ უფალს ეს ადამიანი უყვარს და არა ჰყავს მიტოვებული, მასზე ღვთისაგან დაეშვება განსაცდელი (ან განსაცდელები), რათა იგი გამოფხიზლდეს და დაფიქრდეს თავის მდგომარეობაზე.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება გაცნობიერება დანაშაულისა და მისი გამოსყიდვა.

მე პირადად არაერთი ადამიანი მინახავს გულწრფელი აღსარებითა და ზიარებით მძიმე სენისაგან განკურნებულნი, ასევე რთული და, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავდახსნილნი; ეს ხომ დასჯა არ არის! იგი უფსკრულიდან ჩვენი ამოყვანაა, ჭუჭყისაგან ჩვენი განთავისუფლებაა.

ამიტომაც განსაცდელი მადლიერებით უნდა მივიღოთ.

ამასთან, ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც უნდა შეგვემთხვას იგი, და ყოველთვის უნდა მოვძებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად.

„სასუფეველი ცათაი იიძულების, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი,“ (მთ. 11,12.). ანუ სასუფეველი ცათა საკუთარ თავთან ჭიდილით, — ცოდვათა დაძლევით მოიპოვება და ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ის დაიმკვიდრებს მას.

ვიმეორებ, ეს დაპირისპირება დღეს განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს. ბოროტი თავგამოდებით იბრძვის და ჩვენც თავგამოდებით გვმართებს დავიცვათ ჩვენი მეობა, ჩვენი სული, ჩვენი ღირებულებები.

მაცხოვარი ჭეშმარიტ ქრისტიანებს თავისიანებსა და რჩეულებს უწოდებს და ასე მოიხსენებს: **„ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (ინ. 10,14).**

როგორი დიდი წყალობაა, უფალს მიაჩნდე თავისიანად!

მინდა, მივმართო ჩვენს ხალხს, რომელმაც ბოლო პერიოდში მრავალი განსაცდელი გადაიტანა — არ შედრკეთ! ეს ტკივილი, ეს მწუხარება სწორედაც ნიშანია იმისა, რომ უფალი ჩვენთანაა, რომ ღმერთს ვუყვარვართ და ამიტომაც გვწვრთვნის შეცოდებათა გამო.

— მართალია, სხვათა მსგავსად ჩვენც რთულ დროში გვიწევს ცხოვრება და ეს გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მრავალი ტაძარი აიგო, ეკლესიები სავსეა ხალხით, მოსახლეობის უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. სხვაგან ასეთი პროცესები არ არის, თუმცა ისინი ჩვენზე უკეთ არიან. ჩვენ რა დავაშავეთ, რომ გამოცდის და განსაცდელების პერიოდი ასეთი ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა?

— ჯერ ერთი, ვისაც ბევრი მიეცა, მეტიც მოეთხოვება. ჩვენს ხალხთან მიმართებაში სწორედ ეს ვითარებაა. ამასთან, მართალია, საზოგადოებაში დიდი დადებითი ძვრები მოხდა, მაგრამ მთავარი ნაკლოვანებები ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული.

თითოეულმა ჩვენგანმა (ამჯერად ვგულისხმობ მხოლოდ მორწმუნეთ, მათ შორის სასულიერო პირებსაც) ჩავიხედოთ სულში და პირუთვნელად შევაფასოთ ჩვენი განწყობები და დამოკიდებულებები.

ვფიქრობ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტახტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად, სიტყვით და ნაწილობრივ კი, საქმითაც ღვთის მადიდებელია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის მინდობილი ღმერთს.

ეს ჰგავს იმ პიროვნების მდგომარეობას, რომელმაც ცურვა არ იცის, ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ფეხს ისველებს და ზღვაში ცურვის სიყვარულზე კი საუბრობს.

რა თქმა უნდა, ათეისტური აზროვნებისაგან ხალხი მალევე ვერ განთავისუფლდება და ზემოთქმული ამის შედეგიც არის, მაგრამ უკვე დადგა დრო, მთავარი სულიერი ორიენტირების გასწორებისა; ხოლო თუ ეს ასე არ მოხდება, მთელი ჩვენი ძალისხმევა, ჩვენი ვედრება ამაო იქნება, რადგან არასწორად აღვლენილი ლოცვა ჰაერში განიბნევა და შედეგს ვერ გამოიღებს.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქმიანობა, აზრი და ფიქრიც კი, შესაძლებლობისამებრ, ღმერთით უნდა იყოს განმსჭვალული და სწორებას მუდამ მასზე უნდა ვახდენდეთ. ასეთი დამოკიდებულება სასიცოცხლოდ აუცილებელი არის თითოეული ჩვენგანისთვის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, თავი დავიცვათ ცოდვისაგან და მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რაც დაცემამდე იყო შემოქმედსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის, — შევცურავთ უფლის სიყვარულის ოკეანეში და აღვივსებით მისი მადლითა და წყალობით.

ვინ არის მოყვასი და რატომ არის მისი სიყვარული ჩვენი გადარჩენისათვის, ასევე, აუცილებელი პირობა?

— მოყვასია ყველა, ვინც კი ცხოვრების გზაზე გხვდება. დაწყებული შენი ოჯახის წევრებიდან, ახლობლებიდან და მეგობ-

რებიდან და დამთავრებული უცნობი, მაგრამ შენთან შეხებაში მყოფი პიროვნებებით; რა თქმა უნდა, ამათ რიცხვში შედიან ის ადამიანებიც, რომელთაც ჩვენ მტრებს ვუწოდებთ.

ახლობლებისა და ჩვენი მოყვარული ადამიანების სიყვარული რომ აუცილებელია, გასაგებია. ეს გრძნობა იმდენად ბუნებრივად მკვიდრობს ჩვენში, რომ აქ მოვალეობაზეც კი ლაპარაკი არ არის, ეს ჩვენი მოთხოვნილებაა.

ჩვენი ხალხის ხასიათის წარმოსაჩენად ორ მომენტს გავიხსენებ: თუკი ქვეყანამ გაუძლო ბოლო ოცი წლის დუხჭირ ცხოვრებას, ეს სწორედ მეგობრების, მეზობლების, ნათესავების ერთსულოვნებით მოხდა. უბრალო ადამიანები, თვითონაც არასმქონენი, მასზე გაჭირვებულთ უშურველად უნაწილებდნენ თავის ლუკმას, რაც ბუნებრივად, დაუყვედრებლად ხდებოდა.

ეს ხომ გმირობის ტოლფასია!

თქვენ იცით, მე ყოველთვის მოვუწოდებდი და მოვუწოდებ უცხოეთში წასულ ქართველებს, დაბრუნდნენ სამშობლოში და აქ ეძიონ საშუალებები დასაქმებისა, თუნდაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ არ შეიძლება არ დავაფასო ამ ადამიანების დიდი ნაწილის, განსაკუთრებით ქალბატონების, თავდადება, როგორც თავისი შვილების, ისე მეუღლეებისა და ახლობლების მიმართ.

მათ მიატოვეს ყველაფერი და უცხოეთში უმძიმესი შრომა არ ითაკილეს, რომ როგორმე ფიზიკურად გადაერჩინათ თავისი საყვარელი პიროვნებები.

ეს მოყვასის მიმართ შეწირული მსახურებაა.

— ჩვენს ურთიერთობებში დიდი პრობლემები მაშინ იწყება, როდესაც ცოდვას ვეხებით და წყენა და გულისტკენა ჩნდება. როგორ მოვიქცეთ?

— ცოდვის პირველი უცილობელი წამალი სინანულია. თუ შენ ხარ დამნაშავე, ბუნებრივია, ბოდიში უნდა მოიხადო, აღიარო დანაშაული, მიხვიდე მასთან, ვისაც გული ატკინე და სთხოვო პატიება. ეს შენი ვალდებულებაა. თუმცა ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და პატივმოყვარეობის დაძლევა, რაც ფრიად სამწუხაროა.

— როგორ ვიგრძნოთ, გულით ვაპატიეთ, თუ არა სხვას დანაშაული?

— პატიება ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სამაგიეროს არ მიაგებ მას, არამედ იმასაც, რომ დაფარავ და არ განაცხადებ შენი შემცოდის ცოდვას. უფრო მაღალი საფეხური კი გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც ამ ადამიანს შენ სიკეთით უპასუხებ.

— შეიძლება ნაკლებად შემცოდეს შეუნდო, მითუმეტეს, თუ იგი შენდობას ითხოვს, მაგრამ როგორ შევიყვარო მტრები, ისინი, რომელნიც უსამართლოდ, საშინლად გვექცევიან?

— ცოდვა, რა თქმა უნდა, არ არის ის, თუ ასეთ დამნაშავეს სამართლებრივ ფარგლებში პასუხს მოთხოვ, მაგრამ ეს ურთიერთობის შედარებით დაბალი დონეა.

საერთოდ კი, შენ უნდა მოინდომო, მას აუხსნა საქმის რეალური ვითარება, რომ გაღიზიანება დაიძლიოს; მაგრამ თუ ეს ქმედება ამაო გამოდგა, იგივე ახლა სხვათა საშუალებით გააკეთე; ხოლო თუ შედეგი ამ შემთხვევაშიც ვერ მიიღე, ეცადე ღვთის სადიდებელად დაითმინო ცილისწამება, რითაც შენს სხვა მრავალ ცოდვას აღხოცავ და სულიერადაც ამაღლდები; მაშინ „მტრის“ შხამიანი ქმედებების მიღმა დაინახავ, რომ შენი შეურაცხმყოფელი, ფაქტობრივად, თავისი ნებით წირავს თავს შენი განწმენდისათვის და ამასთან, უღირსი საქციელის გამო, საკუთარ თავს გაუცნობიერებლად, ღვთის რისხვას უმზადებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი სასჯელი მისთვის! შენ კი, თუ გონიერი ხარ, ასეთ პიროვნებაში დიდ კეთილისმყოფელს აღმოაჩენ, შეიბრალებ და შეიყვარებ მას.

ასე რომ, ჩვენი პირადი მტრის შეყვარება შესაძლებელია!

გავიხსენოთ მამა გაბრიელი (ურგებაძე), — აღმსარებელი და სალოსი.

მოგეხსენებათ, სალოსობის ინსტიტუტი, ძველი დროიდანვე იყო ცნობილი მართლმადიდებლობაში, მაგრამ ამ გზით მავალნი ძალიან ცოტანი იყვნენ; ისინი ყველას დასანახად ისე იქცევიან, რომ თავის არარაობას გაუსვან ხაზი და სხვათა თვალში დამცირდნენ. ანუ სალოსები მარტო კი არ ითმენდნენ შეურაცხყოფას, არამედ საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ მათზე უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რათა ყველასაგან ფარული, დიდი ღვაწლი ლოცვისა ეტვირთათ არა მარტო ცალკეული პიროვნებისა და ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ასე იცხოვრა მამა გაბრიელმაც, – დაიმდაბლა თავი და ამიტომაც ამაღლდა.

არანაკლები მადლმოსილება აქვთ ბეთანიელ ბერებსაც, — არქიმანდრიტებს: გიორგი მხეიძესა და გიორგი-იოანეს(მაისურაძეს) და XX ს-ში გაბრწყინვებულ სხვა წმინდანებს (აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეებში მოღვაწე სხვა წმინდანებზე).

— გამოდის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მტერი არ არსებობს?

— მტერი არსებობს და მისი სახელი არის ბოროტი სული, ეშმაკი, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს ცალკეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ურწმუნოთ. აი, ვინ უნდა გვძულდეს და მოვიძაგოთ. მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები კი, — გვიყვარდეს და გვებრალებოდეს, როგორც სნეულნი და ვეცადოთ, ვუმკურნალოთ მათს წყლულებს.

არსებობს ასეთი მოკლე ლოცვა:

ღმერთო, აცხოვნე (უნდა ითქვას მაჭირვებელთა სახელი) და მისი ლოცვით მეც მაცხოვნე, — ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, წამლობა ხშირად მწარეა, თუმცა მისი მიღება აუცილებელია ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ასეა ცხოვრებაშიც, სიყვარული არ ნიშნავს ყოველივეს პატიებას, დაუსჯელობას. უფალიც ხომ გვწვრთნის დანაშაულთა გამო! ამიტომაც, ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ სიყვარული არ ნიშნავს უმოქმედობას, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ღირსების დაცვა და პატივმოყვარეობა, თავდაცვა და ძალადობა, სიმართლის თქმა და განკითხვა, მხილება და დაბეზღება, დათმენა და სისუსტე.

შეუძლებელია, შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც.

შეუძლებელია, სიწმინდის ტოლფასად ცოდვის აღიარებას გაიძულებდნენ და ეს დაუშვა.

შეუძლებელია, მეგობარს, ზოგადად ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებდნენ, ან თუნდაც... უსამართლოდ ეპყრობოდნენ და თანადგომა არ გაუწიო მას.

უკიდურესობები არაფერში ვარგა, მით უმეტეს, აზროვნებაში. ამ სფეროში უკიდურესობებს მივყავართ ან ფანატიზმამდე, ან ფსევდო-ლიბერალიზმამდე. ორივე გადახვევაა ჭეშმარიტებიდან და, ამდენად, მიუღებელიც.

პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო, სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში ბევრი რამ დამახინჯდა, გაუკუღმართდა, მათ შორის, შვილებისადმი სიყვარულიც. მშობლები თავისი გაგებით უფრთხილდებიან მათ და ცდილობენ, ჰქონდეთ საუკეთესო ჩასაცმელი, არაფერი ეტკინოთ, არ ეწყინოთ, არ დაიღალონ, არამედ გაერთონ და ისიამოვნონ... ანუ უქმნიან სასათბურე პირობებს და თავისდაუნებურად ბავშვებში ეგოისტურ სულს აღაზევებენ.

ეს არის გაუცნობიერებელი მტრობა შვილების მიმართ!

ასეთი დამოკიდებულების შედეგად ახალგაზრდა უსუსური ხდება, არა აქვს შინაგანი სიმტკიცე, ხშირად იჩენს სიმხდალეს, მუდმივად ეძებს საყრდენს და სხვაზეა დამოკიდებული, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც და სიცოცხლისუნარიანობაც; ამასთან, არის ამბიციური და „მე“-ზე ორიენტირებული.

ეს ყველაფერი სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ფენაში სხვადასხვა სახით ვლინდება, თუმცა დიდ ნაწილში ერთი საერთო მდგომარეობა შეიმჩნევა, — არსებულით დაკმაყოფილება, უინიციტივობა და მიშვებულობა.

ხშირია შემთხვევები, როცა მათ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ეზარებათ ვითარების გამოსწორებისათვის ზრუნვა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფნიც, ზედმეტად თავს არ იწუხებენ, რადგან არა აქვთ ძიების სურვილი. ეს მოსწავლეები და სტუდენტები ამთავრებენ რა სასწავლებელს, ამთავრებენ ურთიერთობას წიგნთან და მხოლოდ ინტერნეტის თამაშებით იქცევენ თავს.

ბევრი მიეჩვია უშრომელად, ან შედარებით იოლი საქმიანობით, თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან, თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაღმა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირახსნილობა... ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია.

ჩვენი შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ და, პირველ რიგში, ღვთის სიყვარული და იმედი შთავუნერგოთ; იმედი იმისა, რომ თუ სწორად იცხოვრებენ, მარტონი არასოდეს იქნებიან და პრობლემებს უფლის შეწევნით აუცილებლად გადალახავენ.

ამასთან, პატარები უნდა მივაჩვიოთ შერიგებას, წყენის დავიწყებას, მეგობრებისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი ერთგულებას, მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც თვითონ ყველაზე მეტად უყვარს და სხვისი სიხარულით გახარებას, უნდა მივაჩვიოთ სამართლიანობას, ამტანობას, ტკივილის გაძლებას, რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას, რა თქმა უნდა, შრომასა და წიგნის კითხვას; ანუ მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აუცილებელია ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიც დაიცვას და სხვაც, ამასთან, გაარჩიოს, სად არის შავი და სად — თეთრი, რა არის კარგი და რა — ცუდი პირადად მისთვის, მისი ოჯახისათვის, ახლობლებისა და ქვეყნისათვის, რომ თავის შინაგან სამყაროში იგრძნოს სილაღე, თავისუფლება, სიძლიერე და სიყვარულით აღვსილი ამ თვისებების სხვათათვის გამზიარებელი იყოს სიცოცხლის ბოლომდე.

ამ მიზნის მისაღწევად დედ-მამამ პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ და, ამავე დროს, ურთიერთპატივისცემითა და შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ.

ქართველი ქალი ყოველთვის იყო ოჯახის დედა-ბოძი და დღესაც, ემანსიპაციის პირობებში, ისევ მან უნდა შეძლოს მთავარი გამაწონასწორებლი როლის შესრულება ოჯახში და ყველა წევრის ჩაბმა მომავალი თაობის სწორად აღზრდის პროცესში (აქ იგულისხმება ოჯახური საუბრები, საინტერესო თემების განხილვა და სხვა).

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ბავშვები დაიცვას მავნე ზეგავლენებისაგან, შესთავაზოს სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და ამასთან სკოლიდანვე შეაჩვიონ პატარები ანალიტიკურ აზროვნებას; უნდა შეიქმნას ფილოსოფიური და ლიტერატურული წრეები, სადაც მოსწავლეები წაიკითხავენ საინტერესო წიგნებს და გაარჩევენ მათ, დაწერენ თავისუფალ თემებს და იმსჯელებენ სხვადასხვა საკითხზე.

ახალგაზრდებმა და, საერთოდ, ნებისმიერმა პიროვნებამ, ღრმა აზროვნების განსავითარებლად საჭიროა იკითხონ როგორც სასულიერო წიგნები, ისე მხატვრული, ფილოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურა; ამის გარეშე მათი ხედვის დიაპაზონი ვიწრო იქნება და ვერ გააკეთებენ სწორ არჩევანს.

ისინი უნდა აკონტროლებდნენ თავის ფიქრებს, უნდა იცოდნენ, სად არის ოქროს შუალედი, სად უნდა დაედოს ზღვარი მათს აზროვნებას, რომ უფლისაგან მონიჭებული არჩევანის უფლება და თავისუფლება ბოროტის მსახურებად არ აქციონ. თუ ეს განხორციელდა, მაშინ მშობლებს შეუძლიათ ჩათვალონ თავისი ვალი შვილებისა და სამშობლოს წინაშე აღსრულებულად.

დაახლოებით ასეთია მორწმუნის დამოკიდებულება ბედნიერებისადმი.

ყოველივე ზემოთქმული კი ემსახურება ერთ მიზანს, რომ ჩვენ ვისწავლოთ იმ გზებით სიარული, რომელიც ნამდვილ ბედნიერებასა და სიყვარულს გვაზიარებს და რწმენით, ჭეშმარიტებით, სიწმინდით, სიკეთითა და სიხარულით აღგვავსებს.

ამ მადლს არცერთი ეპოქა არ მოიცავდა სრულად, მაგრამ არც ისეთი დრო ყოფილა ოდესმე, რომ სრულად განძარცვული ყოფილიყო იგი ამ წყალობათაგან.

დღესაც, ტექნიკის განვითარებისა და მისი ბატონობის პერიოდში, ამბიციურობის, ცრუ ჰუმანიზმის, ნელ-თბილი რწმენისა და ბოროტთან საიდუმლო გარიგების ხანაში, კვლავ გვესმის აღდგომილი მაცხოვრის იმედისმომცემი და განმამტკიცებელი ხმა:

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მთ. 28,20)!

მაშ, ვისი მეშინოდეს, ან ვისგან შევძრწუნდე?

მართალია, ბოროტი ძალა გამუდმებით გვებრძვის, მაგრამ მასზე განუზომლად ძლიერი და დაუსაბამოა ღმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და დღესაც

სააღდგომო ტრაპეზზე გვიხმობს: ქართველებს, ოსებს, რუსებს, აფხაზებს, ბერძნებს, იეზიდებს, უდიებს, ასირიელებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უკრაინელებს... როგორც მესამე, ისე მეთერთმეტე ჟამის ქრისტიანებს.

მაშ, რომელნი ხართ კეთილ მსახურნი და ღმრთისმოყვარენი, იშვებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა; რომელი არს მონაა კეთილგონიერი, შევედინ სიხარულით სიხარულსა ამას უფლისასა... და ყოველთავე მიიღეთ სიმდიდრე სიტკბოებისა..., რამეთუ აღსდგა ქრისტე და დაირღვა ჯოჯოხეთი; აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს, აღსდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკუდართაგანიც არს საფლავსა შინა, აღსდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II
აღდგომა ქრისტესი 2014, 20 აპრილი.

„რომპეტროლმა“ თბილისში ექვსი ახალი ბენზინგასამართი სადგური გახსნა

„რომპეტროლის“ ქსელს თბილისის მასშტაბით, ექვსი ახალი ბენზინგასამართი სადგური შეემატა. კომპანიის მენეჯმენტის ინფორმაციით, ახალი სადგურები გაიხსნა სანზონაში (გურამიშვილის გამზ. 64), ვარკეთილში (ჯავახეთის ქუჩა, ბაზრის მიმდებარედ), ისანში (ბაზრობის სამხრეთ შესასვლელის მიმდებარედ), მარშალ გელოვანის გამზირზე (შუქნიშნიდან 250 მ), აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე (ცესკო-ს მიმდებარედ) და კახეთის გზატკეცილზე (ყოფილი ცეკავშირის ბაზის კვეთაზე).

ქსელის გაფართოების შედეგად, მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მოსახერხებელი გახდება საწვავის შეძენა. ახალი სადგურები, რესტაილინგის შედეგად, ძირითადად, თეთრ, ნარინჯისფერ და წითელ ფერშია წარმოდგენილი. ექვსივე ბენზინგასამართ სადგურზე, მენეჯერების ჩათვლით, სამოცამდე ახალი თანამშრომელი დასაქმდა. მზადების პროცესშია მეშვიდე სადგური, რომელიც უახლოეს მომავალში გაიხსნება და შედეგად, ახალი თანამშრომლების რაოდენობა 70-ს მიაღწევს. შრომის კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად, ოპერატორები ოთხ ცვლაში იმუშავებენ.

„კომპანია „რომპეტროლი“ უკვე მეცხრე წელია საქართველოს ბაზარზე სტაბილურად, წარმატებით ვითარდება და მომხმარებელს მომსახურების საუკეთესო პირობებსა და ევროპულ საწვავს სთავაზობს. ქსელის გაფართოებაში სოლიდური ინვესტიცია იდება. გარდა ამისა, მოხარულები ვართ, რომ დავასაქმეთ კიდევ რამოდენიმე ათეული ადამიანი. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მიმდინარე წელს ქსელის გაფართოება გაგრძელდება და ქვეყნის მასშტაბით ვაპირებთ 10 ახალი სადგურის გახსნას“, — აცხადებს „რომპეტროლის“ გენერალური დირექტორი **სერიკ სალიკოვი**.

დღეს, ქვეყნის მასშტაბით, „რომპეტროლის“ 71 ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს. საწვავის ზუსტი ჩასხმის გარანტიის უზრუნველსაყოფად „რომპეტროლი“ 2008 წლიდან მუდმივად ახორციელებს ქსელის სისტემის ავტომატიზაციას. კომპანია უახლოეს მომავალში მომხმარებლისთვის არაერთ წამახალისებელ პროექტსა და აქციას გეგმავს.

ცნობისთვის, კომპანია „რომპეტროლ საქართველოს“ უკვე მეორე თვეა ახალი გენერალური დირექტორი — სერიკ სალიკოვი ხელმძღვანელობს.

ტრანსნაციონალური კომპანია „რომპეტროლი“ საქართველოს ბაზარზე ევროსტანდარტის საწვავის უმსხვილესი მომწოდებელია. „რომპეტროლ ჯგუფის“ მთავარი ოფისი ამსტერდამში მდებარეობს და ამჟამად მსოფლიოში 50-მდე კომპანიას აერთიანებს. „რომპეტროლი“ საქართველოს ბაზარზე 5 ტიპის საწვავს ყიდის. სამი ტიპის ბენზინს — Euro Regular, Efix Euro Premium, Efix S და ორი სახეობის დიზელს — Efix Euro Diesel და Euro Diesel.

რატომ ადევს ჯარისკაცების მოწამვლის საქმეს გრიფი „საიდუმლო“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მთავარ პროკურატურაში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, გამოძიების დაჩქარების მოთხოვნით, განცხადება შეიტანეს. ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი აცხადებს, რომ ორგანიზაცია დაინტერესდა, მიმდინარეობს თუ არა და რა ეტაპზეა 2013–2014 წლების განმავლობაში, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების გამოძიება.

ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლებში გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების კანონიერების შესწავლის საკითხითაც დაინტერესდა და პროკურატურას მიმართა, მიმდინარეობს თუ არა ამ მიმართულებით მუშაობა და რა ეტაპზეა კომპანია „დელტაკომის“ ცნობილი საქმე. კაიკაციშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, საკითხით პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც დაინტერესდეს, განმარტოს, რატომ ადევს ჯარისკაცების მოწამვლის საქმეებს გრიფი „საიდუმლო“ და დაინტერესდეს, თავდაცვის სამინისტროში ხდება თუ არა სახელმწიფო ტენდერების მოგება შერჩევითი პრინციპით. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარი უკვე გააკეთა და განაცხადა: **„ვინც ჩვენი ჯარის წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს, მას დიარეა და ფაღარათი ტვინში აქვს“,** — ამ ტიპის განცხადებების ავტორებს არ აწყობთ საქართველოს შეიარაღებული ძალები იყოს იმ სიმაღლეზე, რაზეც დღესაა. რაც შეეხება ტენდერებს, მინისტრის განმარტებით, მის უწყებაში 2012 წლის არჩევნების შემდეგ ყველა ტენდერი კანონთან სრული შესაბამისობით ტარდება: **„ნატო-მ ამ კუთხით ჩვენი გამჭვირვალობა სამაგალითოდ შეაფასა, ყრუ და ბრმა უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო“.**

ამ განცხადებების შემდეგ, „ახალგაზრდა ადვოკატები“ თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში მონიტორინგს აჩერებს და ემიჯნება ყველა ისეთ მიდგომასა და განცხადებას, რომელიც, შესაძლებელია, რაიმე ფორმით, შემხებლობაში აღმოჩნდეს ქართული ჯარის ავტორიტეტის შელახვასთან. **არჩილ კაიკაციშვილის** განცხადებით: **„ახალგაზრდა ადვოკატებს თავდაცვის სამინისტროსთან ლოჯისტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე წერილობითი კომუნიკაცია 2013 წლის ივლისიდან გააჩნია. შესაბამისად, ორგანიზაციის მოქმედებები საჯარო უწყების მიმართ მონიტორინგის განხორციელების პროცესი იყო და არა მიზანმიმართული კამპანიის ინტერპრეტაცია. არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციას სამართლიანად მიაჩნია, შეაჩეროს მონიტორინგი, ვინაიდან არსებობს კანონიერი ნდობა საგამოძიებო უწყებების მიმართ. ორგანიზაცია აქვე განმარტავს, რომ 2014 წლის 8 აპრილს, მთავარი პროკურატურისთვის საჩივრით არ მიუმართავს, მოამზადა მხოლოდ განცხადება და უკვე მიმდინარე გამოძიების შედეგები მოითხოვა“.**

სხვათა შორის, ჯერ კიდევ პრემიერი ივანიშვილი გააცა ჯარისკაცების მასობრივად მოწამვლის ფაქტზე გრიფმა „საიდუმლომ“ და განაცხადა: **„რას ბრძანებთ, გრიფი „საიდუმლო“ ადევს ამ საქმეს? ვინ დაადო მაგას გრიფი „საიდუმლო“? თუ ასეა, ეს უფრო მეტად აღძრავს ეჭვს და მეც უფრო მეტად დავინტერესდები ამ საკითხით“.** მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა, უცნობია ისიც, აღნიშნულ ინფორმაციას მოეხსნება თუ არა გრიფი.



შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული ზაალ ი. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზაალ ი-ს თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე გადამალული ჰქონდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები. ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 304 აბი და ნატეხები, რაც ექსპერტიზის დასკვნით 2,4797 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს და 49 კაფსულა „ლირიკა“, რაც, ექსპერტიზის დასკვნით, 7,35 გრ ფსიქოტროპულ ნივთიერება პრეგაბალინს შეიცავს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 11 კაფსულა ,,ლირიკა“ ამოიღეს, რაც, ექსპერტიზის დასკვნით, 3,3 გრ პრეგაბალინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულს ოპიუმისა და ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 261-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ვინ როგორ უგვარებს რუსთაველ მძღოლებს პრობლემებს?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ტრანსპორტის პროფკავშირების თავმჯდომარე ლავრენტი ალანია და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წარმომადგენელი ლევან ჩიტაძე სამართალდამცავებისგან რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსების მძღოლებზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტების გამოძიებას ითხოვენ.

ლავრენტი ალანიას მტკიცებით, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსის ერთ-ერთ მძღოლზე ფიზიკური ანგარიშსწორება მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კომპანია „ინტერტრანსში“ მუშაობის სურვილი გამოთქვა და რეგისტრაცია გაიარა:

„ჩემთან შემოვიდა ზარი, რომ ერთ-ერთი მძღოლი კახა დარჩიაშვილი ნაცემია, რადგან კომპანია „ინტერტრანსში“ დაფიქსირდა და თანხმობა განაცხადა მუშაობაზე. ამასთანავე თითოეული მძღოლი, რომელმაც თანხმობა განაცხადა და მზადაა, „ინტერტრანსში“ იმუშაოს, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშაა და მათგან კომპანიაში შეტანილი განცხადების უკან გატანას მოითხოვენ“, — აცხადებს ალანია და დასძენს, რომ მძღოლებზე სისტემატურ ზეწოლას რუსთავი-თბილისის ე.წ. ხაზების მეპატრონეები ახორციელებენ: **„მძღოლებზე ზეწოლა ხდება ე.წ. ხაზის მეპატრონეების მხრიდან, რომლთაც 18 წლის განმავლობაში მისდიოდათ თანხა. აპრილიდან მათთვის თანხის სახლში მირთმევა დასრულდა და ბოლომდე იბრძვიან, რათა ინტერესი და გავლენა, რომელიც რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე აქვთ, დაიტოვონ“.**

სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი **ლევან ჩიტაძე** ფინანსურ პოლიციას მიმართავს და რუსთავის ტრანსპორტის სფეროში შექმნილი მდგომარეობის გამოძიებას მოითხოვს: **„ვაპირებ, მივმართო ფინანსურ პოლიციას და მოვითხოვო ლევან მჭედლიძის, ზაზა ჩიხრაძის, გოგიტა ვარდიაშვილისა და შმაგი მიქელაძის ირგვლივ დაიწყოს გამოძიება. გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს ადამიანები არიან ე.წ. ხაზების მეპატრონეები და წლების განმავლობაში, ყოველწლიურად უკანონოდ აბრუნებდნენ 5 450 000 ლარს, რაც არ იბეგრებოდა და ბიუჯეტის გვერდის ავლით მათ ჯიბეში ილექებოდა. ასევე გვაქვს ეჭვი, რომ ეს ადამიანები თანხის ნაწილს წილის სახით უყოფდნენ სხვა ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც ფულს საკუთარი პოლიტიკური საქმიანობისთვის იყენებდნენ“.**

ამ ფონზე, ქვემო ქართლის საინფორმაციო პორტალს აქციის მონაწილე მძღოლებისა და ხაზების „მეპატრონეების“ ადვოკატი **რევაზ რიჟამაძე** დაუკავშირდა და ითხოვა, ბრალდებებზე პასუხის გაცემის საშუალება მიეცეს. რიჟამაძე აცხადებს: **„ლავრენტი ალანია, წლების განმავლობაში, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ფირმებს ყოველთვიურად 500-500 ლარს სძალავდა ისე, რომ ჩვენი არც ერთი ფირმის მძღოლი, მისი პროფკავშირის წევრი არ ყოფილა და არც ახლაა. ამჟამად, როცა მძღოლებს გაუჭირდათ, გვერდით გადგა და მაფიოზებს შეეკრა, რა თქმა უნდა, მატერიალური დაინტერესების სანაცვლოდ, რაც გამოვლინდა იმაში, რომ რუსთავის შიდასაქალაქო ტრანსპორტის მძღოლებს ყოველდღიურად 1 ლარის ჩარიცხვა დაავალა თავის ანგარიშზე. ჩვენი ბრძოლის მცირე შედეგებს კი, სამარცხვინოდ, თავის გამარჯვებად აპიარებს. შევქმენით ჩვენი პროფკავშირი — ააიპ „რუსთავის ტრანსპორტის ეროვნული გაერთიანება“ და თითქმის ყველა მძღოლი უკვე ჩვენი ორგანიზაციის წევრია.**

რაც შეეხება ლევან ჩიტაძეს, იგი კალაძის კრიმინალურ დაჯგუფებას აყვანილი ჰყავს, როგორც „ანტიპიარშიკი“ და დროგამოშვებით, გამოაგდებს ხოლმე ათას სისულელეს: თავიდან ამბობდა – 28 მილიონი მისდიოდა სამარშრუტოებიდან ნაციონალურ მოძრაობასო, ახლა 5 მილიონს იძახის, თანაც ნაციონალურ მოძრაობას აღარ ახსენებს და შეცვალა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც თითქოს ამას აკეთებენ. საგადასახადოსთან ურთიერთობა წარმოებს დადგენილი წესის მიხედვით და დღემდე ამ ორგანოს ჩვენთან გაუგებრობა არ ჰქონია. უბრალოდ, ეს ყველაფერი მართლაც სასაცილოა და, თუ ვინმეს რამე პრეტენზია გააჩნია, დამიჯდეს დებატებში და საზოგადოება მიხვდება, ვინ ტყუის და ვინ ლაპარაკობს სიმართლეს“.

რუსთავის მერიის წინ მძღოლების შიმშილობა გრძელდება. როგორ ჩანს, ყველაფერი კეთდება, რათა თვითდასაქმებული ადამიანები მათთვის მიუღებელ პირობებზე დაითანხმონ, მათ შორის შიდადაპირისპირების გზითაც, თუმცა საეჭვოა, ღია ვირეშმაკობა ვინმეს ბოლომდე გაუვიდეს. პრობლემა სამართლიანად და უპირველესად, დილიდან შუაღამემდე მომუშავე მძღოლების ინტერესების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

ინგუშეთმა ყირიმის სცენარით რუსეთიდან გასვლის შესახებ განაცხადა

ინგუშეთის ცნობილი უფლებადამცველი იბრაგიმ ლიანოვი ყირიმის სცენარით რუსეთის შემადგენლობიდან გასვლის ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ მან უკვე ოფიციალური განცხადება გააკეთა. განაცხადი ხუთი პუნქტისგან შედგება.

დაუბრუნდეს ინგუშეთს ის მიწები, რომელიც ადრე ოსეთს შეუერთეს (ჩატარდეს ამის თაობაზე რეფერენდუმი), შემოვიდეს ინგუშეთში მშვიდობისმყოფელი ჯარები, დაყადაღდეს ადგილობრივი ოლიგარქების ანგარიშები, ინგუში ხალხის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან 1944 წელს განხორციელებული ქმედებები შეფასდეს გენოციდად, დაზარალებულ ოჯახებს გამოეყოთ შესაბამისი კომპენსაციები, გასამართლდნენ რუსი და ოსი მაღალი თანამდებობის ის პირები, რომლებიც უკვე 1992 წლის გენოციდთან არიან დაკავშირებული ინგუშეთში იბრაგიმ ლიანოვი კითხულობს: **„რატომ შეიძლება პუტინისთვის და არ შეიძლება ჩვენთვის?“**

„არმადა.გე“

ჩაი შესაძლოა გაძვირდეს

ანალიტიკოსები ჩაის გაძვირებას პროგნოზირებენ, რაც, თავის მხრივ, აზიის მწვავე გვალვას უკავშირდება. თუკი აზიის ქვეყნებში, მეტეოროლოგიური მდგომარეობა დროულად არ გამოსწორდება, მაშინ ჩაი შესაძლოა გაძვირდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის დასაწყისიდან, ფაქტობრივად, ბოლო 3 თვეა შრი-ლანკაში გვალვაა, რამაც წარმოების შემცირება უკვე გამოიწვია. უკვე ცნობილია, რომ შრი-ლანკაში 400 ათასმა ფერმერმა, რომელიც ჩაის მოყვანით იყო დაკავებული, ზარალი უკვე ნახეს. შტანდარდ ჩჰარტერედ -ის ანალიტიკოსთან განმარტებით, შრი-ლანკა, რომელიც მსოფლიოში ჩაის რიგით მეორე იმპორტიორია, ბაზარს ყოველწლიურად 300 მლნ ტონა ჩაის აწვდის.

„ჯი-ეიჩ-ენი“

პირველკლასელთა რეგისტრაცია 23 აპრილს დაიწყება

2014-2015 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაცია ხვალიდან დაიწყება. პროცესი სამ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე რეგისტრაციას ის მოსწავლეები გაივლიან, რომელთა და-ძმაც აღნიშნულ სკოლაში სწავლობენ, ან მშობელი სკოლის თანამშრომელია. მათი დარეგისტრირება სკოლებში მოხდება. რაც შეეხება რეგისტრაციის მეორე ეტაპს, ის 20 მაისიდან 20 ივნისამდე გაგრძელდება. ხოლო მესამე ეტაპი 10 ივლისს დაიწყება და 18 ივლისს დასრულდება.

„ვერსიანიუსი“

გარდაბანში მეჩეთი გადაწვეს

გარდაბნის რაიონის სოფელ მუღანლოში მეჩეთი გადაწვეს. ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც სოფელში ჩხუბის დროს ორუჯა ამირასლანოვა მოკლეს. თვითმხილველების განცხადებით, სასიკვდილო ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით ამირასლანოვას ქორწილის შემდეგ მომხდარი ჩხუბის დროს მიაყენეს. ვითარება კი მას შემდეგ დაიძაბა, რაც სუფრასთან მომხდარი ჩხუბის შემდეგ ამირასლანოვამ და სუფრის სხვა სტუმრებმა ჩხუბი გარეთ გააგრძელეს. ჩხუბის მონაწილემ თავი მეჩეთს შეაფარა, რის შემდეგაც მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. მოკლულის ოჯახის წევრებმა დაკრძალვის შემდეგ სოფელ მუღანლოს მეჩეთი გადაწვეს.

„ვერსიანიუსი“

რუსეთში აშშ-ს ელჩის თანამდებობაზე მაიკლ მაკფოლს ჯონ ტეფტი შეცვლის

ყოფილი ელჩი ტეფტის კანდიდატურას იდეალურად აფასებს და აცხადებს, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო ელჩი იქნება.

მაკფოლმა რუსეთში აშშ-ს ელჩის თანამდებობა 2014 წლის თებერვალში დატოვა, რის შემდეგაც მალევე რუსულმა მედიამ ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატად საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩი ჯონ ტეფტი დაასახელა. გუშინ კი New York Times-მა თეთრი სახლის წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ობამა რუსეთში აშშ-ს ელჩად ჯონ ტეფტის დასანიშნად ემზადება.

ჯონ ტეფტი 2000-2003 წლებში ლიტვაში, 2005-2009 წლებში – საქართველოში, 2009 წლის ბოლოდან 2013 წლის აგვისტომდე კი უკრაინაში აშშ-ს ელჩის თანამდებობას იკავებდა.

„პირველი“

შავი პომიდორი

Indigo Rose — პომიდვრის ახალი, უცნაური ფერის ჯიშია, ნახშირივით შავი და უგემრიელესი. Indigo Rose წითელი და იისფერი პომიდვრის ჰიბრიდია და მალე გამოვა გასაყიდად. მოდიფიცირებული ბოსტნეული ამერიკელმა პროფესორმა ორეგონის უნივერსიტეტიდან, ჯიმ მაიერსმა გამოიყვანა. მუქი ფერის ეს ბოსტნეული ადრეც არსებობდა, მაგრამ „ინდიგო როუზი“ — ერთადერთი შავი პომიდორია მსოფლიოში.

ბენზინი წყლის ნაცვლად



20 წლის კანადელი გოგონა შენონი იშვიათი დამოკიდებულისგან იტანჯება — მას ერთი დღის გატარებაც არ შეუძლია ბენზინის დალევის გარეშე — ყოველდღიური „დოზა“ დაახლოებით 12 ჩაის კოვზი საწვავია. შინ ყოველთვის აქვს ერთი ბოცა ბენზინი და, თუ სადმე მიემგზავრება, ბოთლით მიაქვს. გოგონას დედა თავიდან ვერ ხვდებოდა, რა სჭირდა ქალიშვილს, როცა მისგან მუდმივად საწვავს სუნს გრძნობდა, თუმცა ახლა იმედოვნებს, რომ ოდესმე იპოვიან ექიმს, რომელიც შენონს ამ მავნე ჩვევისგან განკურნავს. ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევის შესახებ გახდა ცნობილი — 14 წლის ჩინელი მოზარდი, „ტრანსფორმერების“ გმირს რომ დამსგავსებოდა, 9 წლის ასაკიდან სვამდა ბენზინს სანთებელიდან, რომელსაც ჯერ მაღაზიიდან იპარავდა, მერე კი მამამისის მოტოციკლიდან.

ეკოლოგიური ბოთლი წყალმცენარეებისგან

პლასტმასის ბოთლები საფრთხეს რომ უქმნის გარემოს, სიახლე არავისთვისაა — ძალიან ნელა იხრწნება და მათ გადამუშავებაზე არავინ ზრუნავს. ცოტა ხნის წინ, დიზაინის კვირეულზე ამ პრობლემის მოგვარების საშუალება იყო წარმოდგენილი. იდეა დიზაინერ როდრიგო გონზალესს ეკუთვნის. Ooho — საკვებად ვარგისი, ეკოლოგიურად სუფთა, ძალიან თხელი კონტეინერია სითხისთვის, რომელიც მურა წყალმცენარეებისგანაა დამზადებული. წყლით სავსე კონტეინერს დიდი წვეთის ფორმა აქვს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყალს ახალივით ინახავს, რადგან შიგნით ჰაერი არ არის. სიახლის ავტორმა სასმელის მწარმოებლების ინტერესებიც გაითვალისწინა — მემბრანას ორ ფენას შორის შესაძლებელია ქაღალდის ეტიკეტის მოთავსება. ახალ შეფუთვაში სასმელის მასობრივი წარმოება რომ დაიწყოს, აუცილებელია, ტრანსპორტირების პრობლემა გადაიჭრას, რადგან მემბრანები ძალზე სათუთია.

ტანსაცმელს რძისგან დაამზადებენ

გერმანელმა ბიოქიმიკოსმა, გამომგონებელმა და დიზაინერმა ანკე დომასკემ ეკოქსოვილის შესაქმნელად უნიკალური ტექნოლოგია შეიმუშავა, რომელსაც Qmilch უწოდა და ამისთვის ორი წელი მუშაობდა. პრინციპი კი ასეთია — ამჟავებული რძე მტკიცე ფაქტურად უნდა გადაიქცეს. ქსოვილი შემადგენლობით აბრეშუმს წააგავს. რძისგან დამზადებული ტანსაცმელი ჩვეულებრივი სამოსისგან არაფრით განსხვავდება: არ აქვს დამახასიათებელი სუნი, შესაძლებელია მისი გარეცხვა და დაუთოება. დომასკე აღნიშნავს, რომ თუ თანამედროვე ქსოვილის შემადგენლობაში პესტიციდებიც შედის, „რძიანი“ ქსოვილი ნატურალური ნედლეულისგან მზადდება და იდეალურია მათთვის, ვისაც ალერგია აწუხებს. სიახლის ავტორი იმედოვნებს, რომ მისი გამოგონება ისეთ დიზაინერებს დაინტერესებს, როგორიც მაგალითად, „გუჩი“ ან „კენზოა“.

საკუთარ თავს ორსიტყვიანი ნეკროლოგი დაწერა

შვედეთის ქალაქ ტრანასაში მცხოვრებმა სტიგ კერნელმა წინასწარ დაწერა საკუთარი ნეკროლოგი, რადგან სურდა, მისი სიკვდილის ამბავი მეტად მოკლე ყოფილიყო და მხოლოდ ორ სიტყვაში ჩატეულიყო. მას შემდეგ, რაც ეს ლაკონური შვედი ორიოდე კვირის წინ გარდაიცვალა, მსოფლიოში ყველაზე სიტყვაძუნწი ნეკროლოგი ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე მოხვდა. „მე გარდავიცვალე“ — ქვემოთ კი დაკრძალვის ადგილი და დრო იყო მითითებული. 92 წლის სტიგის ვაჟებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ მამა სიცოცხლისმოყვარული ადამიანი იყო და ცოტა უცნაური იუმორის გრძნობა ჰქონდა, ავიაციის ისტორიით იყო დაინტერესებული და თვითმფრინავების შესახებ წიგნების კოლექცია მოაგროვა, რის გამოც გინესის რეკორდსმენი გახდა. მოხვდება თუ არა სტიგი გინესის წიგნში ყველაზე მოკლე ნეკროლოგის დაწერის გამო, ჯერჯერობით უცნობია.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სუდოკუ

ადვილი

	7		4				1	
8			1			6		3
	9				5			
		5	9	4				
	4		7		6		2	
				3	2	5		
			6				3	
6		3			4			2
	5				9		6	

სტანდარტი

	9			1			7	
		6	5		9			
					3		2	9
						2	1	
8			9		4			3
	5	2						
7	6		8					
			6		2	8		
	2			3			9	

რთული

4				8	6	5		
2								
			2	1			4	3
3					8			
	5	4				7	9	
			9					2
6	8			9	5			
								7
		1	6	2				5

ექსპერტი

	3		2				4	
						2		8
	5			9		3		
6	9		4			8	7	
	7	2			8		6	3
		8		2			3	
5		7						
	1				5		8	

შაქრის შემცვლელი ასუქებს

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ შაქრის შემცვლელი ჩვეულებრივი შაქრის კარგი ალტერნატივაა, მაგრამ რეალურად, მას ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ ჯანსაღი საკვები, რადგან ზიანს აყენებს ორგანიზმს და შეიძლება ჭარბი წონის მიზეზიც გახდეს. ჩრდილოეთ კაროლინელმა მეცნიერებმა 12-კვირიანი გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც მოხალისეთა ორი ჯგუფი მონაწილეობდა. პირველი ჯგუფის წევრების რაციონიდან საერთოდ ამოიღეს ნებისმიერი სახის ტკბილეული, მეორე ჯგუფისთვის შაქრის შემცვლელი გამოიყენეს, შედეგად კი, პირველი ჯგუფის წარმომადგენლებმა უფრო მეტად დაიკლეს წონაში, რასაც მეცნიერები შემდეგნაირად ხსნიან — შაქრის შემცვლელი მნიშვნელოვნად ამცირებს მეტაბოლისმს, გარდა ამისა, ასეთ დროს, ორგანიზმი ცდილობს, საკვებიდან რაც შეიძლება მეტი კალორია მიიღოს... ასე რომ, შაქრის შემცვლელის გამოყენება სულაც არ არის მოხდენილი აღნაგობისკენ გადადგმული ნაბიჯი.

კიბოს „მოგუდვის მეთოდს“ მიაგნეს



აშშ-ს დიუკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგადაც გაარკვიეს, როგორ „მოგუდონ“ სიმსივნური უჯრედები. კვლევის მიხედვით, ორგანიზმში სპილენძის მაღალი დონე, რაც რაციონში მწვანე ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტის სიჭარბითაა გამოწვეული, მელანომას, ასევე სარძევე ჯირკვლების, ფილტვებისა და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს განვითარებას პროვოცირებს. სწავლულთა განცხადებით, კერძოდ სპილენძი კი არ იწვევს ავთვისებიან სიმსივნეს, არამედ ის კიბოს უჯრედებს „სუნთქვაში“ ეხმარება. აქედან გამომდინარე, კვების რაციონიდან ამ მეტალისშემცველი პროდუქტის ამოღება ან შემცირება უჯრედებს „გუდავს“ ანუ სიმსივნის განვითარებას აჩერებს. ადრე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ სასმელ წყალში ამ ელემენტის არსებობამ მღრღნელებში კიბოს პროგრესირება დააჩქარა, სპილენძის დონის შემცირებამ კი, პირიქით, შეანელა სიმსივნის ზრდა, რამაც სწავლულები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ეს მეტალი მნიშვნელოვანი ფაქტორია კიბოს განვითარებაში. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მომავალში შეძლებენ ისეთი პრეპარატების შექმნას, რომელიც ორგანიზმს სპილენძის ათვისებაში ხელს შეუშლის და ამით ონკოლოგიურ ავადმყოფებს დაეხმარებიან.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	5	8	3	7	2	1	4	6
7	6	4	1	5	9	3	2	8
3	2	1	4	8	6	9	5	7
8	4	7	2	9	1	6	3	5
2	3	6	7	4	5	8	9	1
1	9	5	8	6	3	4	7	2
6	1	2	9	3	7	5	8	4
5	8	9	6	2	4	7	1	3
4	7	3	5	1	8	2	6	9

სტანდარტი

3	2	1	7	9	8	6	5	4
5	4	9	6	3	2	1	8	7
8	7	6	5	1	4	9	3	2
9	6	2	1	4	5	8	7	3
4	3	8	2	7	9	5	1	6
1	5	7	3	8	6	4	2	9
2	1	5	9	6	7	3	4	8
7	9	4	8	5	3	2	6	1
6	8	3	4	2	1	7	9	5

რთული

4	3	2	1	8	9	7	6	5
7	1	9	6	2	5	3	8	4
8	6	5	7	4	3	2	1	9
2	9	1	8	7	6	5	4	3
3	8	7	5	1	4	6	9	2
6	5	4	3	9	2	1	7	8
5	2	8	9	6	1	4	3	7
1	7	3	4	5	8	9	2	6
9	4	6	2	3	7	8	5	1

ექსპერტი

3	1	7	6	8	2	9	5	4
9	5	2	3	4	1	8	7	6
8	6	4	5	9	7	3	2	1
7	8	5	4	6	3	2	1	9
6	4	1	2	7	9	5	8	3
2	9	3	1	5	8	4	6	7
5	7	9	8	3	6	1	4	2
4	2	6	9	1	5	7	3	8
1	3	8	7	2	4	6	9	5

მე-10 გვერდი: 1. შნიცელი; 2. ნავთლუღი; 3. ცერბერი; 4. ლილა; 5. მენდელი; 6. ესმერალდა; 7. დილოგია; 8. ლემუელი; 9. ყვირილა; 10. ივლისი; 11. ბაასი; 12. სიმონი; 13. ემბლემა; 14. ეკიუ; 15. ნარცისი; 16. ვენგერი; 17. ბეილი; 18. უვრაჟი; 19. კალიარი; 20. ლაიკა; 21. მატერია; 22. ალვა; 23. იღლია; 24. სიო; 25. ტრაპი; 26. როტონდა; 27. ალღო; 28. ვიზა; 29. სარა; 30. მთვარე; 31. იონჯა; 32. უდი; 33. თრია; 34. ბრა; 35. ივ; 36. ტავერნა; 37. ენიო; 38. ნინო; 39. კროუ; 40. თრია; 41. ფიონა; 42. გაბო; 43. რიენცი; 44. ნიუ; 45. ფუტი; 46. „დდტ“; 47. „ნიკა“; 48. მუდო; 49. ამაო; 50. ობობა; 51. ნავოი; 52. ტროა; 53. დაბაღი; 54. პერიგეა; 55. „ბიანკო“; 56. გოგოლი; 57. ლოტო; 58. ლაპი; 59. ბეგონია; 60. აცრა.

სიმსივნის ძირითადი სიმპტომები



მკვლევართა დაუღალავი შრომის მიუხედავად, ონკოლოგია კვლავ რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. მედიკოსები გვირჩევენ, მეტი ყურადღება მოვაქციოთ ორგანიზმის სიგნალებს და ნებისმიერი უჩვეულო სიმპტომის გამოვლენისას, დაუყოვნებლივ მივმართოთ სპეციალისტს. არსებობს რამდენიმე ნიშანი, რომელიც სიმსივნის განვითარებას ახასიათებს:

1. ტკივილი — საწყის სტადიაზე ეს უფრო დისკომორტის შეგრძნებაა რომელიმე ორგანოში;
2. წონაში სწრაფი კლება — ონკოლოგიური დაავადება ორგანიზმს აიძულებს, გამოყოს ნივთიერებები, რომლებიც არღვევს მეტაბოლურ პროცესებს. ამის გამო ადამიანი რამდენიმე თვეში წონაში საგრძნობლად იკლებს;
3. სისუსტე — კიბოს უჯრედები იწვევს ინტოქსიკაციას და, შესაბამისად, სისუსტესა და ანემიას;
4. ტემპერატურის მატება — კიბოს გამო იმუნური სისტემის ქვეითდება და ტემპერატურა იწევს;
5. თმისა და კანის მდგომარეობის ცვლილება: ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევა გარეგნულ ცვლილებებსაც იწვევს.

თუკი ადამიანმა აქედან ერთი-ორი სიმპტომი მაინც აღმოაჩინა, დასაწყისისთვის ონკოლოგს თუ არა, თერაპევტს მაინც უნდა მიმართოს.

დიაბეტს ვირუსი იწვევს

ავსტრალიელი მეცნიერები მელბურნის უნივერსიტეტიდან ვარაუდობენ, რომ პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტი როტავირუსული ინფექციის შედეგად ვითარდება. ეს თეორია სწავლულებმა ლაბორატორიულ თაგვებზე შეამოწმეს. ინფექციის შედეგად ცხოველების იმუნური სისტემა იწყებს B-ლიმფოციტებისა და დენდრიტული უჯრედების წარმოებას. ამ უკანასკნელს აქტიურ მდგომარეობაში გადაყავს T-ლიმფოციტები, რომლებიც ანადგურებს კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებს — პასუხისმგებლებს ინსულინის წარმოქნაზე, ამ პროცესის შედეგი კი შაქრიანი დიაბეტია. პირველ ტიპს ახასიათებს ინსულინის უკმარისობა, მეორე ტიპი კი თავად ინსულინის პასიური ფორმაა. როგორც წესი, პირველი ტიპის დიაბეტი მოზარდობის ასაკში ჩნდება. ამ დიაგნოზის მქონე პაციენტებმა მკაცრად უნდა აკონტროლონ კვების რაციონი და ინსულინი გაიკეთონ. ავსტრალიელი სწავლულები აპირებენ, დაავადების ზუსტი ეტიოლოგიისთვის დამატებითი კვლევები ჩაატარონ. სავსებით შესაძლებელია, მომავალში ამ პათოლოგიის ჭეშმარიტი მიზეზიც შევიტყოთ.

ჩიფსი ტოქსინებისგან ეგვითავისუფლებს

ამერიკელმა მეცნიერებმა ცინცინატის უნივერსიტეტიდან მორიგი აღმოჩენა გააკეთეს, რომელმაც შესაძლოა, ჩვენი ცხოვრება შეცვალოს. ახალი კლინიკური კვლევების შედეგად გაირკვა, რომ ცხიმის არაკალორიული შემცვლელი „ოლესტრა“, რომელსაც შეიცავს ჩიფსი, აქვეითებს პოლიქლორორბულ ბიფენოლებს სისხლში. მისი მაღალი დონე მაღალ არტერიულ წნევასა და დიაბეტის განვითარებას უკავშირდება. ამერიკელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამ ბიფენოლების დონე შესამჩნევად სწრაფად იკლებდა ერთწლიანი კლინიკური ცდებისას. ოლესტრა 1996 წელს შექმნა კომპანია Procter & Gamble-მა და ის „პრინგლზის“ ჩიფსის შემადგენლობაშია. არსებითად, ოლესტრა ცხიმია, რომელიც ორგანიზმში „მოგზაურობს“ და იქიდან პოლიქლორირებულ ბიფენოლებს ანუ ტოქსინებს გამოდევნის.

გართოება

1.იზოლირებული ბინა ცათამბჯენის განზე
2. ბადისებურად მოქსოვილი ჩამოსაკიდებელი საწოლი
3. ზღვის ყაჩაღი
4. მცირე ლირიკული ინსტრუმენტული პიესა
5.ჰოლანდიური ლუდის მარკა
6. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი
7. იგივეა, რაც შუამდინარეთი
8. შინაური ცხოველი
9.მტკვრის უდიდესი შენაკ.
10.ბრილიანტის „წინაპარი“
11. იგივეა, რაც დიაპოზიტივი
12. ყალმუხეთის დედაქალაქი
13.მშრალი ტროპიკული ქარი
14. ცისარტყელას ქალღმერთი
15. ფასიანი ქაღალდის სახეობა
16. (ძვ.) მომღერალ-თა გუნდი
17.„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი მცველი
18. ინდიელ ხალხთა ჯგუფი პარაგვაიში
19. „V ელემენტის“ პერსონაჟი
20. იესო ქრისტეს გამყიდველი
21. საფრანგეთის საკურორტო ქალაქი
22. მუსიკ. ბგერის გრაფიკული ნიშანი
23.პატარას ანტონიმი
24.გზა ფრონტის გასწვრივ
25. სვეტებიანი გალერეა ანტიკურ არქიტექტურაში
26.რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით
27. ქიმიური პროცესი
28.ავანგარდ. მიმდინარეობა დას. ევროპულ ხელოვნებაში
29. იგივეა, რაც სასულე
30.ხევსური ქალის სამოსელი
31. პაპინია ერისთავის ვაჟი
32.კულტის მსახური, ჯადოქარი აღმოსავლეთში
33. ოიდიპოსის მამა
34. განის დედაქალაქი
35.სოფელი ონის რაიონში
36. სახოტბო ლექსი
37. ქალის მსუბუქი ზედა სამოსი
38.ქართველ ლეიბორისტთა ლიდერის სახელი
39.შეძახილი კონცერ. ნომრის გამეორების მოთხოვნით
40.თურქეთის დედაქალაქ ანკარას ძვ. სახელწოდება
41. ფიგურული ფრჩხილი სანოტო სისტემაში
42ნივთიერ. უმცირესი ნაწილაკი უარყოფითი მუხტით
43.ქაღალდის საზ. ერთეული
44.ქვეყანა ევროპაში
45.„ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
46. მაუგლის მეგობარი პითონი
47.სატელევიზიო „სიტყვა“
48. დიაოხის დედაქალაქი
49.ნებისყოფის აათ. სისუსტე
50.უდანაშაულობის საბუთი
51. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი ცხოველი
52.ტარიელის სამშობლო „ვეფხის-ტყაოსანში“
53. სოფელი ადიგენის რაიონში
54.გასეირნება ბავშვ. ენაზე
55.გლადიოლუსი (ქართ.)
56. რუსების საბრძოლო ყიჟინა
57. ფრჩხილის ბუდის ანთება
58. დემონი იუდაისტურ მითოლოგიაში
59.თვალის ფერადი გარსის ანთება
60. წვრილი ფული
61. ზაფხულის პირველი თვე
62. რიგის საფეხბურთო კლუბი
63. ერთმანეთზე მილაგებული ნაკეცები ქსოვილზე
64. პორტუგალიის საფეხ. ნაკრების ექსმეკარე
65. იაპონური ავტომარკა
66. იბერიის მეფე ... მართალი
67. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
68. მითოლოგიური კვანძის ავტორი
69. კამეჩის ნაშიერი
70. ... კობეინი
71.მდინარის ტრანსპორტი
72. სამიზნე თოფის ლულაზე
73. რაჭის „დედაქალაქი“
74. (ფიზ.) მუშაობის საზომი ერთეული
75. ბიბლიური პატრიარქი
76. ბრძანება „ნაბიჯით ...!“
77. მოწყობილობა ბგერითი სიგნალისათვის
78.პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
79.დროებითი სადგომი
80.თოფის წამალი
81. ერთ-ერთი აფრიკული ენა
82. ზევსის სატრფო, რომელიც ძროხად გადაიქცა
83. იტალიური ტელეარხი
84.ძალიან ნელი ტემპი მუსიკაში
85. სოფელი ახმეტის რაიონში
86. პორტუგალიის ყოფილი კოლონია ინდოეთში
87.შვედეთის ადმინისტრაც.-ტერიტორიული ერთეული
88.ჩრდილოამერიკული სტეპების მგელი
89. იაპონური აბანო
90.ალანეტა იუპიტერი ძველ ქართულში

შვილს ტანკი აჩუქა

ჩინეთის ფლოტის ყოფილი ოფიცრის ექვსი წლის ვაჟმა მამას დაბადების დღეზე საჩუქრად ტანკი სთხოვა, თუმცა ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა, მშობელი ამ ახირებას ასეთი სერიოზულობით თუ მიუდგებოდა — მოსიყვარულე და მზრუნველმა ცზიან ლინმა გადაწყვიტა, ბავშვისთვის დაუვიწყარი საჩუქარი გაეკეთებინა — ჩინური მსუბუქი ტანკის ასლი თავად ააწყო, რისთვისაც ორი თვე დასჭირდა და დაახლოებით შვიდი ათასი დოლარი დახარჯა. თუმცა გაურკვეველია, სახელმწიფო თავნება ოფიცერს რაიმე სანქციას დააკისრებს თუ არა — თუ ტანკის აწყობა არ იყო შეთანხმებული ხელისუფლებასთან, მოსიყვარულე მამას ათწლიანი პატიმრობა ემუქრება, ხოლო თუ მას დაარეგისტრირებენ, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, ამ ტანკით სეირნობაც იქნება შესაძლებელი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.